საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი N 30

ქ.თბილისი 24.12.2014

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

გიორგი კამკამიძე - შპს ნეოლაბის დირექტორი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

მაია მიქაშავიძე - ა(ა)იპ - მართვის აკადემიის დამფუძნებელი პარტნიორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნინო დავლაშერიძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის წევრი, საბჭოს მდივანი;

თამარ ბრეგვაძე - ა(ა)იპ კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსიტიტუტის (EPPM) მთავარი მკვლევარი;

ნიკოლოზ ალექსიძე - შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლის დეკანი;

ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის დირექტორი;

თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;

ნანა ცერცვაძე - ა(ა)იპ საქართველოს ბიზნეს ასოციაციის სექტორული განვითარების ხელმძღვანელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი:
გიორგი ცხვედიანი

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტები:
ანა ლელაძე
თამარ აფრასიძე
გიორგი მელიქაძე
თამარ შენგელია
ნინო გაგელიძე

აკრედიტაციის ექსპერტები:
თინათინ კუბლაშვილი
რომეო გალდავა
ნინო ქიმერიძე
მაია გონაშვილი
ტარიელ სიხარულიძე
თორნიკე გურული
მანანა ხაჩიძე
ზვიად როგავა

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:
შპს საქართველოს უნივერსიტეტის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:
სოსო გოგილიძე
კონსტანტინე თოფურია
ჯონი მწარიაშვილი
არჩილ ჯანგირაშვილი
მაია ამაშუკელი
ანა ხურციძე
ცირა ჩიკვაიძე
მაია ჩხეიძე
ვასილ ტყეშელაშვილი
მარიამ ავალიშვილი
მაია გოგაშვილი
ნათია გოლიაძე
ხატია დევაძე
ეკა გეგეშიძე
ლელი ბიბილაშვილი
ნანა ბურდული
ნათია კილაძე
კახაბერ თავზარაშვილი

სხდომა დაიწყო 15:25 სთ-ზე. მდივანმა შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის #65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის

დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ჯანდაცვის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის მათემატიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს საქართველოს უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. შპს საქართველოს უნივერსიტეტის კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ისტორიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
11. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
12. შპს საქართველოს უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
13. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ზუსტი, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
14. შპს საქართველოს უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
15. შპს საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
16. შპს საქართველოს უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დამსწრე საზოგადოებას ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრის თანამშრომელმა დააყენა შუამდგომლობა შპს საქართველოს უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

გადმოტანილი ყოფილიყო დღის წესრიგში მეორე საკითხად. საწინააღმდეგო პოზიცია არ დაფიქსირებულა და საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი შემდეგი სახით:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ჯანდაცვის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს საქართველოს უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს საქართველოს უნივერსიტეტის მათემატიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ისტორიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. შპს საქართველოს უნივერსიტეტის კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
11. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
12. შპს საქართველოს უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
13. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ზუსტი, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
14. შპს საქართველოს უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
15. შპს საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
16. შპს საქართველოს უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. **შპს საქართველოს უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	მასწავლებლის მომზადების პროგრამა
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	60

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ჯგუფის წევრმა ანა კლდიაშვილმა, რომელმაც გაახმოვანა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, პროგრამის სამომავლო სრულყოფის შესახებ:

- მასწავლებლის მომზადების საგანმანთლებლო პროგრამის სწავლის შედეგში სრულად აისახოს ყველა ის ცოდნა და უნარი რაც საქართველოს კანონდებლობით დადგენილი წესით მოეთხოვება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელს;
- სილაბუსებში სწავლის შედეგები გაიწეროს მკაფიოდ და ნათლად, რომლის მიღწევაც დადასტურდება შეფასების სიტემით;
- სილაბუსებში სწავლის შედეგის შესაბამისად ჩამოყალიბდეს შეფასების მეთოდები და მათი კრიტერიუმები;
- მასწავლებლის მომზადების პროგრამაში აისახო უფრო მეტი თანამედროვე ლიტერატურა და მეცნიერული მიღწევებს შესახებ ინფორმაცია;
- დაწესებულების მიერ შემუშავდეს მასწავლებლის მომზადების პროგრამის სერტიფიკატის გაცემის წესი;

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ჯონი მწარიაშვილმა განაცხადა, რომ იზიარებდნენ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებებს და შესაბამისი ცვლილებებიც განახორციელეს. მისი თქმით, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში მაქსიმალურად სრულად აისახა ყველა ის ცოდნა და უნარი, რაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოეთხოვებოდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელს, რასაც მას გამოუმუშავებდა პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსი. წარმომადგენლის თქმით, სილაბუსებში სწავლის შედეგები დაკორექტირდა მეტი სიცხადისა და შეფასების სისტემით დადასტურების თვალსაზრისით. ცალკეულ სილაბუსებში დაკორექტირდა შეფასების მეთოდები უნივერსიტეტის მიერ დადგენილი შეფასების სისტემის ფორმატში სწავლის შედეგების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული სილაბუსები შეივსო დამატებითი ლიტერატურით. უნივერსიტეტმა დაასრულა მასწავლებლის მომზადების პროგრამის სერტიფიკატის მომზადება (რამდენადაც პროგრამას

გაზაფხულზე პირველი გამოშვება ეყოლებოდა, სერტიდიკატის ნიმუშსა და გაცემის წესზე მუშაობა დასრულდა). წარმომადგენლის განცხადებით, სერტიფიკატის ნიმუში და გაცემის წესი შეთანხმებული იყო შესაბამის სტრუქტურებთან. მისი განმარტებით, განხორციელებული ცვლილებები ასახული იყო სილაბუსებში, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში და პროგრამის სწავლის შედეგების კომპეტენციების მატრიცაში, შეეძლოთ წარმოედგინათ ყველა დასახელებული დოკუმენტი, მათ შორის მასწავლებლის სერტიფიკატის ნიმუში და გაცემის წესის შესახებ დებულების ამონარიდი.

თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა კონკრეტულად რა შეიცვალა შეფასების სისტემაში. რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ უფრო მკაფიოდ იქნა გაწერილი შეფასების კრიტერიუმები, გაიაზრეს რეკომედაციები, რის შედეგადაც სილაბუსებში გაითალისწინეს დიფერენციალური შეფასება. აბსოლუტურად დაეთანხმნენ, რომ პრაქტიკული უნარები უნდა ყოფილიყო გაზომვადი. ამასთან, ტარდებოდა სიმულაციური გაკვეთილები. ასევე დაამატა, რომ აღნიშნული პროგრამა გათვლილი იყო მათთვის, ვინც უკვე ამთავრებდა ბაკალავრიატს, მაგალითად, ისტორიკოსები, ფილოლოგები და ა.შ.

2. **შპს საქართველოს უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ფსიქოლოგია
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	07
კრედიტების რაოდენობა:	240

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა თინათინ ჭინჭარაულმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა სრულებით აკმაყოფილებდა აკრედიტაციის სტანდარტებს და წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველია, წარმოდგენილ პროგრამასა და სილაბუსებში აისახოს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები უფრო კონრეტულად, რადგან სტუდენტისთვის უფრო გასაგები იყოს, თუ რამდენი საათი ეთმობა შუალედურს ან დასკვნით გამოცდას კონკრეტულ საგანში და რამდენი უშუალოდ დამოუკიდებელ მუშაობას;
- სასურველია, რომ სალექციო კურსში სტუდენტის შეფასების საერთო საუნივერსიტეტო 4-კომპონენტიანი სქემის (ყოველკვირეული შეფასება/ქვიზი, შუალედური გამოცდა, რეფერატი ან პრეზენტაცია, დასკვნითი გამოცდა) გარდა სალექციო კურსების

სპეციფიკიდან გამომდინარე შეფასების სხვა კომპონენტების გამოყენების შესაძლებლობაც არსებობდეს.

ექსპერტის განმარტებით, შეფასების ოთხკომპონენტიანი სქემა იყო სტანდარტული, თუმცა გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ ქვიზი იღებდა სხვადასხვა სახეს და ექსპერტის რეკომენდაცია იყო, ეს მრავალფეროვნება ასახულიყო სილაბუსშიც.

ნიკოლოზ ალექსიძე დაინტერესდა, თუ რა იგულისხმებოდა ექსპერტის ბოლო რეკომენდაციაში. თინათინ ჭინჭარაულმა მაგალითად მოიყვანა კვლევის მეთოდების კურსი ფსიქოლოგიაში და განმარტა, რომ რეალურად სტუდენტებს ეძლეოდათ ისეთი საშინაო დავალებები, რომელიც გულისხმობდა კვლევის მეთოდებისთვის შესაბამისი აქტივობების შესრულებას, თუმცა სილაბუსიდან ეს არ ჩანდა და საჭირო იყო დაკონკრეტება.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრებების გამოთქმის საშუალება.

შპს საქართველოს უნივერსიტეტის წარმომადგენელმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სილაბუსში მოცემული იყო სტუდენტის საათობრივი დატვირთვა, ხოლო რაც შეეხებოდა კონკრეტულად გამოცდისთვის გამოყოფილ დროს, დარეგულირებული იყო დებულებით. სტუდენტი თავდაპირველად ეცნობოდა დებულებას, შესაბამისად, ინფორმირებული იყო, თუმცა დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტების რეკომენდაცია და საათებთან დაკავშირებული ცვლილებები იქნა შეტანილი სილაბუსებშიც.

მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ოთხკომპონენტიანი შეფასება წარმოადგენდა ზოგადად გამოკითხვის ფორმებს და საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსხვავდებოდა. აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებას დაწესებულება მომდევნო სემესტრში გეგმავდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, აღნიშნა, რომ სტუდენტებს ცვლილებების შესახებ, თუნდაც დებულების შემთხვევაში, ინფორმაცია მიეწოდებოდათ ელექტრონული ფოსტის საშუალებითაც.

საბჭოს წევრი, ნიკოლოზ ალექსიძე დაინტერესდა, როგორ ხდებოდა შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩატარება. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ თეორიულ კურსში გამოცდა ტარდებოდა ცენტრალიზებულად, ხოლო პრაქტიკის კურსი მოიცავდა შუალედურ და დასკვნით ანგარიშებს, ხდებოდა მათი წარდგენა და ჰქონდათ სხვაგვარი ფორმატი.

საბჭოს წევრმა, თამარ ზარანდიამ დაწესებულების წარმომადგენლებს კითხვით მიმართა, კურსის მიხედვით თუ იყო გაწერილი სილაბუსებში განსხვავებული მეთოდები და რამდენად ჰქონდა პერსონალს აკადემიური თავისუფლება.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ საგნის ავტორი და აკადემიური პერსონალი მსჯელობდა, რა ტიპის კომპონენტები იყო საჭირო ამა თუ იმ კურსის განსახორციელებლად. არსებობდა ბაზა, სადაც ჩამოთვლილი იყო მეთოდები - ღია/დახურული კითხვები, ქეისები, ზოგ შემთხვევაში კაზუსი, ა.შ. და თუ კურსის კურატორი აღნიშნავდა, რომ კონკრეტული კურსისთვის საჭირო იყო განსხვავებული,

სპეციფიკური კომპონენტი, დაწესებულება ითვალისწინებდა ამას და ბაზაშიც აისახებოდა აღნიშნული ცვლილება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შინაარსობრივად ლექტორი აბსოლიტურად თავისუფალი იყო და არ იზღუდებოდა მისი აკადემიური თავისუფლება. მან მაგალითად მოიყვანა სტომატოლოგიის პროგრამის შემთხვევა, როდესაც ზუსტად საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, საჭირო გახდა სრულიად განსხვავებული შეფასების სისტემის შემოღება, რის გამოც, მათ შეიმუშავეს კურაციულების სისტემა.

საბჭოს წევრი, ნიკოლოზ ალექსიძე დაინტერესდა, თუ ჰყავდა პროგრამას კურსდამთავრებულები. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ჰყავდათ მეოთხეკურსელები და ჯამში სტუდენტთა რაოდენობა 200-ს შეადგენდა.

საბჭოს წევრი, თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა, რა მიგნებები და შედეგები ჰქონდათ დასახელებულ პროგრამაში.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ნანა ბურდულმა აღნიშნა, რომ მათ ჩაატარეს კვლევები, რის საფუძველზეც, პროგრამაში გარკვეული ცვლილებები შევიდა. კვლევა იყო კონფიდენციალური, მასში მონაწილეობდენ დამსაქმებლები, პერსონალი, სტუდენტები და შედეგებიდან გამომდინარე, განხორციელდა ცვლილებები როგორც ძირითად საგნებში, ასევე არჩევით კურსებში. დაემატა არჩევითი საგნები და პროგრამა უფრო მრავალფეროვანი გახდა. სტუდენტებს მიეცათ დიდი არჩევანი, რათა მიეღოთ ბაზისური ცოდნა და წარმატებით გაეგრძელებინათ სწავლა მომდევნო საფეხურზე.

3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	საექთნო საქმე
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საექთნო საქმის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0905
კრედიტების რაოდენობა	240

4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ჯანდაცვის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ჯანდაცვის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	მენეჯმენტის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული

კვალიფიკაციის კოდი	0203
კრედიტების რაოდენობა	240

5. შპს საქართველოს უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანდაცვა
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0904
კრედიტების რაოდენობა	180

დღის წესრიგის მიხედვით მე-2, მე-3 და მე-6 საკითხებით გათვალისწინებული პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები ჯგუფის წევრმა, ხათუნა საგანელიძემ წარადგინა. მისი განმარტებით, სამივე პროგრამისთვის საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებთან დაკავშირებით იდენტური რეკომენდაციები გაიცა. ასევე, აღნიშნა, რომ სამართლებრივ აქტებში ყველა მნიშვნელოვანი პუნქტი იყო გაწერილი, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს დასაზუსტებლად და ყველაფერში გასარკვევად საკმაო დრო დასჭირდა.

ექსპერტმა საბჭოს საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ მომზადებულ დასკვნაში მითითებული რეკომენდაციები გააცნო:

- სასურველი იყო სილაბუსებში საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობის დაკონკრეტება;
- კომპეტენციების მატრიცაში ასახული კომპეტენციები შესაბამისობაში იყო მოსაყვანი სილაბუსებში ასახულ კომპეტენციებთან. მაგ. კომპეტენციების მატრიცის მიხედვით „ინგლისური ენის“ არცერთ სასწავლო კურსს არ ჰქონდა ცოდნა/გაცნობიერების კომპეტენცია, მაშინ როდესაც სილაბუსებში გაწერილი იყო ეს შედეგი. ასევე არ ემთხვეოდა უმრავლესობა სილაბუსების კომპეტენციები მატრიცაში ასახულ შედეგებს („აკადემიური წერის“, „კლინიკური პრაქტიკა I“ და სხვა);
- სასურველი იყო სასწავლო კურსი ,,ნუტრიციოლოგიის“ თემატიკა უფრო დაკონკრეტებულიყო, ვინაიდან ძალიან ზოგადი იყო და შესაბამისად რთული იყო განსაზღვრა თუ რომელი თემით ხდებოდა შესაძლებელი, მაგალითად მითითებულ კომპეტენციაზე - ,,კვების რეჟიმის გამოკვლევის, შეფასების, დაგეგმვის და განხორციელების უნარი“ - გასვლა;
- სასურველი იყო სასწავლო სილაბუსში ,,კლინიკური პრაქტიკა 1“ შეფასების დაშლა, ვინაიდან კომპონენტში „საექთნო დოკუმენტაციის წარმოება“ შეფასების ქულას წარმოადგენდა 13 და რა კრიტერიუმებით ხდებოდა ამ რაოდენობის დაგროვება გაუგებარი იყო (ასევე „რეპორტინგი“ - 12 ქულა);

- სასურველი იყო არჩევითი საგნების რაოდენობის გაზრდა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ შეფასების სისტემის განსაზღვრის საკითხში პროფესურას თავისუფლება ჰქონდა მინიჭებული.

ხათუნა საგანელიძემ საბჭოს გააცნო საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ მომზადებულ დასკვნაში მითითებული რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილი იყო სილაბუსებში საკონტაქტო საათების დაკონკრეტება. მაგალითად „მეცნიერების ფილოსოფია", „თვისობრივი კვლევის მეთოდები" საკონტაქტო საათების რაოდენობის განსაზღვრის შეუძლებლობის გამო, გაუგებარი იყო „ხანგრძლივობა-თვეში ერთხელ 2 საათი" ჩანაწერი;
- სასურველი იყო სასწავლო კურსის სახელწოდება „სადისერტაციო ნაშრომი" შესაბამისობაში მოსულიყო კურიკულუმში არსებულ სახელწოდებასთან;
- სასურველი იყო მიეთითებულიყო თუ რა ტიპის სერტიფიკატს და გამოცდას აღიარებს უნივერსიტეტი ენობრივი კომპეტენციის დასადასტურებლად. ასევე მიზანშეწონილი იყო შიდასაუნივერსიტეტო ინგლისური ენის გამოცდის (B 2) ჩატარება იმ პირებისათვის, ვისაც არ ჰქონდა ინგლისური ენის B 2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი;
- სასურველი იყო სასწავლო კურისის ,,სადისერტაციო ნაშრომის დაცვა" წინაპირობად აღნიშნულიყო ,,სტატია 1 და 2", ,,წინასწარი განაცხადი";
- სასურველია პროგრამას დამატებოდა ინგლისურის ენის სწავლება ძირითად, ან არჩევით საგნად.

საბჭოს თავმჯდომარე, გიორგი კამკამიძე დაინტერესდა, ტარდებოდა თუ არა ინგლისური ენის შიდა გამოცდა. დაწესებულების წარმომადგენელმა პასუხად აღნიშნა, რომ მათთვის, ვინც ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს არ ფლობდა, შესაძლებელი იყო შიდა გამოცდის ჩატარება.

ექსპერტმა საბჭოს გააცნო ჯანდაცვის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ მომზადებულ დასკვნაში მითითებული რეკომენდაციები:

- სასწავლო კურსების კომპონენტებისათვის, რომლებიც ასახავდნენ სხვადასხვა სასწავლო აქტივობებს (ლექცია–სემინარზე დასწრება, გამოცდა, ლაბორატორიული მეცადინეობა, ნაშრომის შესრულება, დამოუკიდებელი მუშაობა, და სხვა) განკუთვნილი დრო არ იყო ნათლად და გასაგებად ასახული სილაბუსებში. კერძოდ, გაუგებარი იყო რამდენი საკონტაქტო საათი ეთმობოდა შუალედური და ფინალური გამოცდების ჩაბარებას, ასევე გაუგებარი იყო თუ რამდენი საათი ეთმობოდა ლექციების და რამდენი სემინარების ჩატარებას. მიზანშეწონილი იყო სალექციო და სტუდენტების სემინარული/პრაქტიკული მუშაობის დროის გამიჯვნა, მათი თემატიკის დამოუკიდებლად გაწერა და შესაბამისად, სწავლებისა და შეფასების მეთოდების სამუშაო აქტივობებს მორგება;

- კომპეტენციების მატრიცაში გაწერილი სწავლის შედეგები არ შეესაბამებოდა სილაბუსებში ასახულ მისაღწევ კომპეტენციებს. მაგალითად, აკადემიური წერის, ინგლისური ენა–3–ს სილაბუსებში;
- „აკადემიური წერის" სასწავლო კურსი მიეკუთვნებოდა ზოგად საუნივერსიტეტო საგნებს და შესაბამისად არ შეიძლებოდა გათვალისწინებული ყოფილიყო კონკრეტული სპეციალობის სპეციფიკა (დასტურდება სილაბუსის შინაარსით). ამავდროულად, კომპეტენციების მატრიცის მიხედვით ამ სასწავლო კურსის გავლის შედეგად მიღებული კომპეტენცია იყო – „ინდივიდის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაგებისთვის აუცილებელი სამედიცინო ტერმინოლოგიის ფართო ცოდნა", რაც სრულ შეუსაბამობაში მოდიოდა არსებულ პროგრამასთან და მასში გათვალისწინებულ საერთო საუნივერსიტეტო საგნების სპეციფიკასთან;
- მიზანშეწონილი იყო, პროგრამის გამჭირვალობის მიზნით, საგნებზე დაშვების წინაპირობების საბაკალავრო პროგრამაში (სასწავლო გეგმაში) ასახვა;
- მიზანშეწონილი იყო, სილაბუსებში გაწერილიყო თუ რა შემთხვევაში დაიშვებოდა სტუდენტი ფინალურ გამოცადაზე;
- სილაბუსებიდან არ ჩანდა თუ რას ითვალისწინებდა და როგორ ფასდებოდა ყოველკვირეული ქვიზები (წერითი შეფასება), რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რადგან უნივერსიტეტს მიღებული ჰქონდა უნიფიცირებული შეფასების სისტემა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრებების გამოთქმის საშუალება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ტექნიკური ხასიათის ყველა პრობლემა, მათ შორის მატრიცებთან დაკავშირებული უზუსტობა, აღმოფხვრილი იყო. საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს, გამოცდის დროსა და ნაშრომისა თუ აქტივობების შეფასებასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საზღვარგარეთის გამოცდილებით, სილაბუსებში უბრალო მითითებების და მთელ რიგ სარეგულაციო დოკუმენტებთან წვდომისთვის ბმულების გაკეთება ჩვეული პრაქტიკა იყო. ვინაიდან დაწესებულებას გააჩნდა გამართული და მუშა რეჟიმში მყოფი ონლაინ სისტემა, მისი საშუალებით სილაბუსებზე წვდომის უზრუნველყოფის გარდა, წარმომადგენლის თქმით, მოხდა, მაგალითად, შუალედური გამოცდებისთვის ან ნაშრომის პრეზენტაციისთვის დათმობილი ზუსტი დროის მითითება.

საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის ერთერთი კურსის სილაბუსში გაწერილი ჩათვლითი შეფასება შეიცვალა, ოთხ 25 ქულიან კომპონენტად დაიშალა და განისაზღვრა ინდიკატორები. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ნუტრიციოლოგიის სასწავლო კურსთან დაკავშირებული რეკომენდაციაც გათვალისწინებულ იქნა და სილაბუსიც წარმოადგინეს.

საბჭოს თავმჯდომარე დოქტორანტების რაოდენობით დაინტერესდა. დაწესებულების წარმომადგენელმა პასუხად აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამაზე ამჟამად სულ რვა დოქტორანტი სწავლობდა და დასძინა, რომ ყოველწლიურად 10-10 სტუდენტზე კეთდებოდა განაცხადი - მეტის მიღებას დაწესებულება ვერ მოახერხებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ რამდენიმე შენიშვნა გააკეთა, კერძოდ, ბიოსტატისტიკის და ეპიდემიოლოგიის კურსებთან დაკავშირებით, რომელთა სილაბუსებშიც, მისი თქმით, დამაბნეველი სია იყო წარმოდგენილი და არ იყო მითითებული ლიტერატურა. ასევე, კვლევის მეთოდების კურსის შესახებ, რომელშიც აქცენტი ძირითადად თვისობრივ კვლევაზე კეთდებოდა და რაოდენობრივი კვლევის ელემენტები აკლდა.

დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საზოგადოებრივი ჯანდაცვა მრავალსექტორული სფერო იყო - პროგრამა მიზნად თითოეული დარგის განვითარებას ისახავდა, რის ძირითად ბაზისად და აუცილებელ მიმართულებად საზოგადოებრივი ჯანდაცვა და პოლიტიკა მიაჩნდათ. დოქტორანტს თავად შეეძლო საკუთარი ინტერესების განსაზღვრა.

გიორგი კამკამიძემ დამატებით აღნიშნა, რომ კურსის სილაბუსში სტატიები და ჟურნალები იყო ჩამოწერილი, რაც არ იყო ადეკვატური. აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საქმე ტექნიკურ შეცდომასთან ჰქონდათ, რომელიც ცვლილებას დაექვემდებარა. ვინაიდან სტატიების კრიტიკული ანალიზი შეფასების ერთერთი კომპონენტი იყო, სარგებლობის მიზნით, სტუდენტს სთავაზობდნენ ჟურნალების ჩამონათვალს, თემატიკიდან გამომდინარე, სადაც ის საკუთარი მოსაზრების დადასტურების მიზნით შეძლებდა სტატიის მოძიებას.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ განაცხადა, რომ ჯანდაცვის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა ტოვებდა შთაბეჭდილებას, თითქოს ამოვარდნილი იყო ზოგადი ტენდენციიდან. წარმომადგენლებმა პასუხად აღნიშნეს, რომ ჯანდაცვის სისტემა ყოველდღიურად იცვლებოდა, ამიტომ საჭირო მენეჯმენტი, რომელიც უფრო დაბალ საფეხურზე იმუშავებდა, რადგან პაციენტის კმაყოფილება მხოლოდ სამედიცინო დახმარებით არ შემოიფარგლებოდა. მათი თქმით, ქართული ჯანდაცვის სისტემა ამერიკულის მსგავსი იყო და არსებული საბაკალავრო სისტემა კრენტონის და ცენტრალური ფლორიდის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით იქნა შემუშავებული, როგორც ქართული კონტექსტისთვის შესაფერისი მოდელი.

დაწესებულების წარმომადგენლებმა საბაკალავრო პროგრამის ამოქმედების მოტივად სამაგისტრო სწავლების არასაკმარისი ვადები მოიყვანეს - მათი თქმით, ორი წელი ჯანდაცვის მენეჯერის ჩამოყალიბებისთვის არასაკმარისი იქნებოდა.

საბჭოს თავმჯდომარე კლინიკური ბაზების საკითხით დაინტერესდა. მხარის განცხადებით, პროგრამა ევროსაბჭოს მოთხოვნებთან შესაბამისობაში იყო, საათების გადანაწილების მიხედვითაც ევროსაბჭოს რეკომენდაციას აკმაყოფილებდა; ყველა კლინიკურ პრაქტიკას გააჩნდა თავისი სასწავლო გეგმა; იყო მენტორი რომელიც მეთვალყურეობას უწევდა სტუდენტებს და პრაქტიკას ერთდროულად 6 სტუდენტზე მეტი არასდროს გადიოდა. დაწესებულებას ხელშეკრულებები ჰქონდა გაფორმებული ციციშვილის, ჩაფიძის, მ. ერისთავის კლინიკებთან, მედიქლაბთან, ფსიქიატრიისა და ნარკომანიის ცენტრთან და ა.შ. წარმომადგენლის თქმით, სტუდენტების მხრიდან დიდი მოწონება დაიმსახურა ჩაფიძის კლინიკამ, სადაც ერთი კურსდამთავრებული დასაქმდა და ბევრსაც ადგილები გარანტირებული ჰქონდათ. ასევე, ბევრი მიდოდა კანადაში, აშშ-ში, დიდ

ბრიტანეთში; ცალკე იყო ინგლისურენოვანი ჯგუფებიც, რომლებიც ძირითადად ნიგერიის მოქალაქეებით იყო დაკომპლექტებული.

საბჭოს წევრი, ნიკოლოზ ალექსიძე პროგრამების პიარ სტრატეგიით დაინტერესდა. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, უნდა არსებულიყო სახელმწიფოს ნება, რომ სფერო დაფინანსებულიყო - საგრანტო დაფინანსება სფეროთი დაინტერესებას გაზრდიდა და სათანადო საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაწესება კვალიფიკაციის ამაღლების ვალდებულებასაც გააჩენდა.

6. შპს საქართველოს უნივერსიტეტის მათემატიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	მათემატიკა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	მათემატიკის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0501
კრედიტების რაოდენობა	240

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ჯგუფის წევრმა, რომეო გალდავამ. ასევე გაახმოვანა შემუშავებული რეკომენდაციები:

- პროგრამაში წარმოდგენილია სასწავლო გეგმა ზოგადი სახით, სადაც არჩანს სემესტრების მიხედვით სასწავლო კურსების გადანაწილება, ძნელი მისახვედრია არჩევითი კურსებისა და თავისუფალი კრედიტების, აგრეთვე დამატებითი (Minor) პროგრამის არჩევის სემესტრები. შესაბამისად, სასურველია, დაერთოს, გეგმა სემესტრების მიხედვით, სადაც სქემატურად აისახება არჩევითი, თავისუფალი და დამატებითი პროგრამის კრედიტების სემესტრები.
- დამატებითი (Minor) პროგრამა წარმოდგენილია მხოლოდ სქემის სახით. სასურველია დაერთოს პროგრამის მიზნები, შედეგები, მიღების წინაპირობები.
- სასურველია, სასწავლო კურსებს დაემატოს გამოყენებითი პროგრამული პაკეტების (Matlab, Maple ან სხვ) სასწავლო კურსი, იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამას გააჩნია გამოყენებითი ხასიათი.
- პროგრამაში დიფერენციალური განტოლებები წარმოდგენილია 4 სასწავლო კურსის სახით (დიფერენციალური განტოლებები 1, დიფერენციალური განტოლებები 2, კერძო წარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებები 1, კერძო წარმოებულებიანი

დიფერენციალური განტოლებები 2). სასურველია კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებების სასწავლო კურსები გადატანილ იქნან არჩევით სასწავლო კურსებში.

- სასურველია, სასწავლო კურსებს დაემატოს მათემატიკური ფიზიკის შესავალის სასწავლო კურსი, იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამას გააჩნია გამოყენებითი ხასიათი.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, კახაბერ თავზარაშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამუშაოსათვის და კვალიფიციური რეკომენდაციების შემუშავებისათვის, ასევე აღნიშნა, რომ რეკომენდაციებს ეთანხმებოდნენ. კერძოდ მისი განმარტებით, სტუდენტები დამატებით პროგრამებს და თავისუფალ საგნებს ირჩევდნენ სხვადასხვა სემესტრში, რაც დამოკიდებული იყო მაინორ პროგრამების სემესტრულ განაწილებაზე. სხვადასხვა მაინორ პროგრამას ჰქონდა სხვადასხვა წინაპირობა და საგნების სემესტრული განაწილება. სტუდენტი თავისუფალი იყო მაინორ პროგრამის საგნებისა და ძირითადი პროგრამის საგნების პარალელურად არჩევაში. ერთადერთი შეზღუდვა შეიძლებოდა ყოფილიყო წინაპირობები, რომელიც წარმოადგენდა აუცილებელ პირობას ნებისმიერ საგანზე დასასწრებად.

მისი თქმით, სასწავლო პროგრამაში დაგეგმილი იყო Mathlab-ის კურსის შეთავაზება. რისთვისაც მიმდინარეობდა შესაბამისი კურსის მომზადება. სტაჟირების ფარგლებში სტუდენტები ეუფლებოდნენ სხვადასხვა კომპიუტერულ პროგრამას მათემატიკური ამოცანების ამოსახსნელად. მომავლისთვის იგეგმებოდა ამ კურსის არჩევით სანად შეთავაზება. დიფერენციალური განტოლებები 1 და 2, ასევე კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებები გათვალისწინებული იყო როგორც ძირითადი საგნები. დამსაქმებლებთან კონსულტაციების შედეგად გამიკვეთა მოსაზრება, რომ სასურველი იყო სტუდენტებს ქონოდათ აღნიშნული საგნების მიერ გამომუშავებული კომპეტენციები. სწორედ ამ მოსაზრების გამო აღნიშნული საგნებიც შეთავაზებულ იქნება როგორც სავალდებულო სასწავლო კურსები.

თამარ ბრეგვაძემ აღნიშნა, რომ კვლევებმა დაადასტურა, მათემატიკოსების დასაქმების მაჩვენებელი და მათი ანაზღაურება საკმაოდ მაღალი იყო, სამოავლოდ კარგი იქნებოდა უნივერსიტეტს გაეთვალისწინებინა აღნიშნული ფაქტორი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლებიც დაეთანხმნენ.

7. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ისტორიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ისტორია
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ისტორიის დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	1004
კრედიტების რაოდენობა	180

საგანმანათლებლო პროპგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია წარადგინა და შემუშავებული რეკომენდაციები გააცნო ექსპერტმა თინათინ კუბლაშვილმა:

- სასურველი იქნებოდა სასწავლო კურსი „პროექტის მომზადება და მართვა" ითვალისწინებდეს არა მარტო უცხოენოვან არამედ ქართულ ლიტერატურას;
- სავარაუდოდ თვითშეფასების ანგარიშში ტექნიკური ხარვეზის სახით გამორჩენილი იყო კვლევით კომპონენტში შეთავაზებული სტატია 1. და სტატია 2, რადგან ადგილზე გადამოწმებული პროგრამებით სადოქტორო სწავლების დებულებით (ცვლილება 2 დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2013 წლის 1 მარტის 12-13 ოქმით) ისინი მიეკუთვნებოდნენ 1-3 სემესტრს და მათ ენიჭებოდათ 5-5 კრედიტი. სასურველი იქნებოდა აღნიშნული კველევითი კომპონენეტები ასახულიყო თვითშეფასების ანგარიშში.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით რეკომენდაციები მისაღები იყო და შესაძლებელი იყო კურსის გამდიდრება ქართულენოვანი ლიტერატურით. კურსის კურატორთან გასაუბრებით აღმოჩნდა, რომ სამწუხაროდ არ არსებობდა ქართული ლიტერატურა, რომელიც იქნებოდა პროგრამის შესაფერისი, ამასთან, გათვალისწინებული იყო ისიც, რომ დოქტორანტობის კანდიდატები საკმაოდ კარგად უნდა ფლობდნენ ინგლისურ ენას. თუმც, მომავალში თუ გამოჩნდებოდა შესაბამისი ქართულენოვანი ლიტერატურა აუცილებლად მოხდებოდა მისი გათვალისწინება და პროგრამის გამდიდრება. რაც შეეხებოდა მეორე რეკომენდაციას იგი გახლდათ აბსოლუტურად ტექნიკური ხასიათის, მოხდა მისი გათვალისწინება, პროგრამებშიც იქნა მითითებული და თვითშეფასებაშიც მოხდა შესწორება.

საბჭოს წევრმა თამარ ზარანდიამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და დაინტერესდა, როგორი სახით ხორციელდებოდა პედაგოგიური პრაქტიკა, კერძოდ, ხორციელდებოდა პროფესორის ასისტენტობა, სილაბუსების შედგენა თუ რა ფორმით

ხდებოდა დოქტორანტის დატვირთვა. ასევე, კვლევის მეთოდები გაშლილი იყო ცალცალკე და ხომ არ იქნებოდა მართებული მათი გაერთიანება ერთი კომპონენტის სახით.

საბჭოს წევრი ნიკოლოზ ალექსიძე დაინტერესდა კვლევის მეთოდებთ, კერძოდ, რაოდენობრივი კველევა რა სახით ვითარდებოდა, ვინაიდან სხვადასხვა პროგრამას ერთი და იგივე კურსი ჰქონდა რაოდენობრივ კვლევაში, საინტერესო იყო თუ რაში სჭირდებოდა რაოდენობრივი კვლევა ისტორიკოსს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პედაგოგიური პრაქტიკა გულისხმობდა, როგორც პროფესორის ასისტენტობას, ასევე ქვიზების შედგენას, პატარა სემინარების ჩატარებას. მოცემული პედაგოგიური პრაქტიკა აბსოლუტურად იდენტური გახლდათ სხვა სასწავლო დაწესებულებებში არსებული პრაქტიკისა და არაფერი განსხვავებული მასში არ მოიაზრებოდა. რაც შეეხებოდა რაოდენობრივ კვლევას, ისტორიკოსს სჭირდებოდა როგორც თვისობრივი ასევე განვრცობილი სახის რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, ვინაიდან, სწორად კველევის საფუძველზე წარმოადგენდა შემდგომში თავის ნაშრომს. კვლევები სილაბუსში იყო გაწერილი არა საგნის არამედ შეხვედრების სახით სადაც დოქტორანტი იღებდა დავალებას საკვლევ მასალასთან დაკავშირებით, რადგანაც დაწესებულებამ არ მიიჩნია მართებულად დოქტორანტურის საფეხურზე სტუდენტებისათვის კველევის მეთოდების ინდივიდუალურ სალექციო საგნად ჩამოყალიბება.

საბჭოს წევრი თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა რეკომენდაციით, რომლის მიხდევითაც სტუდენტს პირველი სამი სემესტრის მანძილზე უნდა გამოექვეყნებინა სტატიები, თუმცა ერთი სტატიის გამოქვეყნებას სჭირდებოდა დაახლოებით ერთი წელი. აქედან გამომდინარე, რამდენად რეალისტურად ესახებოდა მოცემული რეგულაცია დაწესებულებას. ასევე დაინტერესდა, თუ ჰქონდათ მათ საკუთარი ჟურნალი სადაც სტუდენტი შეძლებდა მისი სტატიის გამოქვეყნებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს იყო საერთო რეგულაცია, ასევე აღნიშნა, რომ კველევითი კომპონენტი კრედიტების გაანგარიშების მიხედვით იწყებოდა მესამე სემესტრიდან. შესაბამისად, მოცემული სტატიების გამოქვეყნება შესაძლებელი იყო გადანაწილებულიყო მეექვსე სემესტრის ჩათვლით. დაწესებულებას ასევე ჰქონდა საკუთარი ჟურნალი სადაც მოხდებოდა სტატიების გამოქვეყნება. აგრეთვე სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იყო საერთაშორისო და ინტერნეტ ჟურნალების ნუსხა სადაც შესაძლებელი იქნებოდა სტატიის წარდგენა.

საბჭოს წევრი, თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა, სავალდებულო სტატიის კრიტერიუმი დაწესებული იყო თუ არა თავად დაწესებულების მიერ და საქართველოს უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს წლიურად, ჯამური სახით რამდენი გამოქვეყნება ჰქონდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მინიმუმ ორი სტატია მაინც უნდა ჰქონოდა დოქტორანტს იმ თემატიკასთან დაკავშირებით რაზეც მუშაობდა. აკადემიური პერსონალის ხელფასების 25 % ხმარდებოდა სწორად სამეცნიერო კვლევას და მასში სრულად იყო ჩართული აკადემიური პერსონალი, ვინაიდან, თუ არ განხორციელდებოდა მოცემული

აქტივობა მაღალ დონეზე, შესაბამისად ვერც ახალი პროგრამები შეიქმნებოდა და ვერ მოხდებოდა მათი წარმოდგენა დაწესებულების მიერ.

საბჭოს წევრი მაია მიქაშავიძე დაინტერესდა, არსებობდა თუ არა რაიმე სახის დაფინანსება ვინაიდან გარკვეული მიმართულებებით კველევები სერიოზულ ხარჯებთან იყო დაკავშირებული და თუ არსებობდა საუნივერსიტეტო შიდა საგრანტო სისტემა.

მხარემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტში მოქმედებდა სამეცნიერო ინსტიტუტი, რომელიც მაქსიმალურად ეხმარებოდა სტუდენტებს. აგრეთვე არსებობდა უამრავი გაცვლითი პროგრამა, ასევე რუსთაველის ფონდი და „ერასმუს+“ რაც სტუდენტებს აძლევდა საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების გამოყენების საშუალებას.

ნიკოლოზ ალექსიძის აზრით, საერთოდ არ იყო საჭირო ისტორიის სადოქტორო პროგრამაში რაოდენობრივი კვლევის დაფიქსირება სალექციო კურსის სახით, დოქტორანტს შესაძლოა არც დასჭირებოდა აღნიშნული ტიპის კველევა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ როდესაც სტუდენტი ირჩევდა კველევით მიმართულებას და სურვილი ჰქონდა ყოფილიყო დოქტორანტი მიზანშეწონილი იქნებოდა მას წარმოდგენა ჰქონოდა კველევის ყველა მეთოდზე სამომავლო თვალსაზრისით.

საბჭოს სხდომაზე 17:16 საათზე გამოცხადდა შესვენება. სხდომა განახლდა 17:39 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა მიღებული გადაწყვეტილებები:

- შპს საქართველოს უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 8; წინააღმდეგი -0);
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე -8 ; წინააღმდეგი - 0);
- საქართველოს უნივერსიტეტის საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე -8 ; წინააღმდეგი - 0);
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის ჯანდაცვის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 8; წინააღმდეგი - 0);
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე -8 ; წინააღმდეგი -0);
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის მათემატიკის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე -8 ; წინააღმდეგი -0);
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის ისტორიის სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 8; წინააღმდეგი -0);

საბჭოს ჭევრმა, ნანა ცერცვაძემ დატოვა საბჭოს სხდმა.

8. შპს საქართველოს უნივერსიტეტის კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	კულტურული და სოციალური ანთროპოლოგია
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ანთროპოლოგიის დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	180
კრედიტების რაოდენობა	110503

საგანმანათლებლო პროპგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და შემუშავებული რეკომენდაციები წარადგინა ექსპერტმა ბეჟან ჯავახიამ:

- სასურველი იქნებოდა პროგრამის აღწერაში, სასწავლო კომპონენტის საგნებში დასახელებული ყოფილიყო სპეციალობის საგნები, რადგან სტუდენტს შესაძლებლობა ჰქონოდა თავიდანვე მიეღო ინფორმაცია იმ საგნების შესახებ, რომელთა შესწავლასაც სთავაზობდა წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასურველი იქნებოდა უფრო ფართოდ ყოფილიყო წარმოდგენილი დოქტორანტებისათვის საკითხავი ლიტერატურა (გარდა სავალდებულო ლიტერატურისა), რას საშუალებას მისცემდა დოქტორანტს გაცნობოდა პროგრამის ირგვლივ არსებულ თანამედროვე გამოკვლევებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა საგნის დასახელებას, იგი შეცვლილ იქნა კონკრეტული საგნის დასახელებით. გათვალისწინებულ იქნა მეორე რეკომენდაციაც და პროგრამა გამდიდრდა ქართულენოვანი ლიტერატურით.

საბჭოს წევრი, ნიკოლოზ ალექსიძე დაინტერესდა თუ შედიოდა საველე პრაქტიკა პროგრამაში. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საველე პრაქტიკა გამომდინარეობდა კვლევის მეთოდიდან და დამოკიდებული იყო იმაზე, კვლევის რომელ მეთოდს აირჩევდა დოქტორანტი.

ნიკოლოზ ალექსიძის აზრით, ანთროპოლოგია წარმოუდგენელი იყო საველე პრაქტიკის გარეშე და დაინტერესდა აღნიშნულ პროგარამაზე თუ ირიცხებოდნენ დოქტორანტები. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პროგრამას ერთი დოქტორანტი ჰყავდა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა გამოკითხვის ანკეტები საველე პრაქტიკის თვალსაზრისით, შესაბამისად საველე პრაქტიკა სრულად იყო გათვალისწინებული პროგრამაში.

საბჭოს წევრი, თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა, თუ იყენებდა დაწესებულება მოცემული პროგრამის სილაბუსებში ჟურნალებს და სტატიებს, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სილაბუსებით გათვალისწინებული იყო.

9. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ფილოლოგია
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფილოლოგიის დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	1005
კრედიტების რაოდენობა	180

საგანმანათლებლო პროპგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და რეკომენდაციები წარადგინა ექსპერტმა ბეჟან ჯავახიამ.

- სასურველი იქნებოდა უფრო დეტალურად ყოფილიყო განმარტებული სტუდენტის მიერ 2 სადოქტორო სემინარის მომზადება/ჩატარების ტექნიკური დეტალები. დოქტორანტის სემინარი არ ფიქსირდებოდა მატრიცაში დამოუკიდებელი კომპონენტის სახით, კერძოდ თითოეულ სასწავლო დისციპლინას ჰქონდა 2 სავალდებულო სემინარი, რომელიც ცალკეული საგნის 5 კრედიტიანი სასწავლო დისციპლინის ფარგლებში ფასდებოდა. სადოქტორო პროგრამის ცალკეული სასწავლო დისციპლინის კომპეტენციის გასაძლიერებლად ნამდვილად ეფექტური იქნებოდა მსგავსი აქტივობა, მაგრამ ეს ნათლად არ ჩანდა თვითშეფასებაშიც. ამდენად სასურველი იქნებოდა აღნიშნული დეტალი პრგრამაში ზედმიწევნით ყოფილიყო გაწერილი. ზოგადად საქართველოში მოქმედი მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები აფიქსირებდნენ 2 სადოქტორო სემინარს, რომლის შეფასება ხდებოდა დამოუკიდებლად და შესაბამისად ენიჭებოდა კონკრეტული კრედიტმოცულობა.
- სასურველი იქნებოდა დეტალურად ყოფილიყო გაწერილი დაშვების წინაპირობები რათა აპლიკანტებს ზუსტი წარმოდგენა ქონოდათ პროგრამაში მონაწილების დეტალებზე. განმარტებული წინაპირობა საჭირო იყო იმ აპლიკანტებისათვის რომელთაც უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურზე მიღებული ქონდათ ევროპული ფილოლოგიის სპეციალობით განათლება და კერძოდ, კვალიფიკაციით ინგლისური ფილოლოგიის (ანგლისტიკა) მაგისტრი კვალიფიკაცია და საგანმანათლებლო პროგრამას განაგრძობდნენ აღნიშნული პროფილით, კერძოდ სასწავლო პროგრამაზე მათი დაშვება უნდა მომხდარიყო

თუ ისინი წარადგენდნენ უცხოური ენების სწავლების და სწავლების საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს C1 ენობრივი კომპეტენციის დამადასტურებელ დოკუმენტს, რაც აუცილებელი იყო უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე კვლევითი პროექტის დასასრულებლად. სხვა დანარჩენ შემთხვევაში უცხოური ენის გამოცდაზე ენობრივი დონის განსაზღვრას უნდა ემსახურებოდეს ასევე შესაბამისი დონის ვალიდური ენობრივი ტესტის ნიმუში.

- სასურველი იქნებოდა თვითშეფასების დოკუმენტში ასევე გაწერილი ყოფილიყო კვლევითი კომპონენტის 10 კრედიტი (სტატია1, სტატია2), როგორც ეს მოცემული იყო სასწავლო პროგრამაში, რადგან პროგრამა აფასებდა სტუდენტს აღნიშნულ აქტივობაში.
- სასურველი იქნებოდა თუ სწავლისა და ცოდნის შედეგები გაიწერებოდა დარგობრივი მოდულების შესაბამისად და მასში განზოგადდებოდა ის ძირეული დებულებები, რაც ზუსტად ასახავდა და ჩამოაყალიბებდა ცოდნის საბოლოო შედეგს. სასურველი იქნებოდა თუკი დაიხვეწებოდა სწავლის შედეგების კომპეტენციათა რუკა.
- უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის პროგრამაში სადაც ძირითადი აქცენტი კეთდებოდა კვლევებზე და უახლეს სამეცნიერო თუ მეთოდოლოგიურ მიღწევებზე, დოქტორანტი თავად მუშაობს კრიტიკულ ლიტერატურასა და საანალიზო კორპუსზე, სასურველი იქნებოდა: თუ სასწავლო მასალი ფარგლებში გამრავალფეროვნდებოდა უცხოენოვანი კრიტიკული ლიტერატურის სია, რათა მომავალ მკვლევარს დოქტორანტის სახით ჰქონდეს არჩევანის საშუალება კრიტიკული აზრის გაცნობისა და ინტერპრეტაციის თვალსაზრისით, არ მოხდებოდა ცალკეული სასწავლო თუ კვლევითი მასალის გამეორება (მაგ. ტექსტის რეფერირებაში მეორდებოდა ცალკეული ლიტერატურა, თარგმანის თეორიაში თუ გაიზრდებოდა თანამედროვე კვლევების ჩამონათვალის სპექტრი), რიდერის შეთავაზება შესაძლებელი იქნებოდა უკვე იმ შემთხვევაში თუ რიდერიც წარმოდგენილი იქნებოდა ავთენტური ლიეტრატურით.
- სავარაუდოდ თვითშეფასების ანგარიშში ტექნიკური ხარვეზის სახით გამორჩენილი იყო კვლევით კომპონენტში შეთავაზებული სტატია 1. და სტატია 2, რადგან ადგილზე გადამოწმებული პროგრამებით სადოქტორო სწავლების დებულებით (ცვლილება 2 დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2013 წლის 1 მარტის 12-13 ოქმით) ისინი მიეკუთვნებოდნენ 1-3 სემესტრს და მათ ენიჭებოდათ 5-5 კრედიტი. სასურველი იქნებოდა აღნიშნული კველევითი კომპონენეტები ასახულიყო თვითშეფასების ანგარიშში.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ყოველი რეკომენდაცია მათთვის მისაღები და გასათვალისწინებელი იყო. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ სემინარი იყო შუალედური შეფასების ფორმა და შუალედური შეფასების შედეგები არ იყო ასახული მატრიცაში, შესაბამისად, რეკომენდაცია მისაღები იყო. მეორე რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა აპლიკანტის პროგრამაში მონაწილეობის დეტალების დაზუსტებას, აღნიშნული იყო

მისაღები გამოცდის ტესტში, სადაც აღმოჩდა კონკრეტული ხარვეზი, ეს იყო წერილობითი ტესტის ადეკვატური აღქმის დეტალები, რომელიც დაწესებულების მიერ შეთავაზებულ ტესტში დაყვანილი იყო ერთი ტიპის კომუნიკაციურ ქმედებაზე და მოხდა მისი გამდიდრება, რაც წარმოდგენილი იყო მოდიფიცირებული ტესტის სახით. რაც შეეხებოდა მიღების წინაპირობას, წარმომადგენლობა ეთანხმებოდა რეკომენდაციას და სამეცნიერო კომუნიკაციის დონეზე შესაძლებელი იყო მიღება მომხდარიყო C1 დონეზე. მხარისთვის მისაღები იყო სტატიასთან დაკავშირებული რეკომენდაცია, ასევე სილაბუსებში ლიტერატურასთან დაკავშირებული რეკომენდაცია.

საბჭოს წევრი ნათელა სახოკია დაინტერესდა ირიცხებოდა თუ არა აღნიშნულ პროგრამაზე დოქტორანტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამას ჰყავდა სამი კურსდამთავრებული, რომლებსაც უკვე გაკეთებული ჰქონდათ სამეცნიერო ნაშრომები. იმდროისათვის კი ირიცხებოდა ხუთი დოქტორანტი.

10. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	პოლიტიკის მეცნიერებები
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0702
კრედიტების რაოდენობა	180

მაია გონაშვილმა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველია სილაბუსებში უნივერსიტეტში არსებული სტანდარტის მიხედვით მიეთითოს არა მხოლოდ ძირითადი გამოცდების კვირების რაოდენობა, არამედ დამატებითი გამოცდების ვადებიც/კვირებიც. ასევე სასურველია წარმოდგენილ პროგრამასა და სილაბუსებში აისახოს კონკრეტულად საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების დაყოფა, რადგან სტუდენტისთვის იყო უფრო გასაგები, თუ რამდენი საათი ეთმობა შუალედურს ან დასკვნით გამოცდას კონკრეტულ საგანში. ზოგიერთ სილაბუსში შუალედური შეფასების კომპონენტები არ ჩანს და კრიტერიუმები და კომპონენტები არეულია. (მაგ. კოლოკვიუმი 1);

- სასურველია მოხდეს საგნების ოპტიმიზაცია. კერძოდ, პროექტ მენეჯმენტის საგანს დაერქვას კვლევითი პროექტის მართვა, რომელიც რეალურად უფრო შეესაბამება საგნის შინაარს. რეკომენდირებულია ზოგიერთ მოდულს ქონდეს წინაპირობა, მაგალითად, სტატია-თარგმნა და ა. შ. ასევე სასურველია, პროგრამაში „ტექსტის რეფერირება და თარგმნა" შეიცვალოს აკადემიური წერა დოქტორანტებისთვის ინგლისურ ენაზე, რაც დოქტორანტებს განუვითარებს უცხო ენაზე აკადემიური ტექსტების წერის უნარს. სასურველია, პროგრამიდან ამოღებული იყოს „სტატია" თავისი სილაბუსით და მის მაგივრად ჩასმული იყოს სულ მცირე, ერთი საგანი ორიენტირებული პოლიტიკის მეცნიერებაზე ან საერთაშორისო ურთიერთობებზე;
- სასურველია სპეციალობის მოდულის საგანი შეთავაზებული იქნას ერთი ზოგადი და შემდეგ, დოქტორანტის საკვლევი თემის გათვალისიწინებით შესაბამისი მოდულის საგნების კონცეფციებისა და თანამდედროვე ტენდენციების გაღრმავებული სწავლება იყოს არჩევით საგნებად შეთავაზებული;
- სასურველია დისერტაციის გაფორმების წესისთვის გამოყენებებული დანართი №2, რომელიც ითვალისწინებს "მოთხოვნები საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულების მიმართ". (ცვლილება №8 დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2014 წლის 19 სექტემბრის №40-14 ოქმით), შეიცვალოს, კერძოდ, ან გაფორმების წესს დაემატოს „საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტოროს წესი" ან ცალკე მომზადდეს სადოქტოროს გაფორმების წესი;
- რეკომენდებულია კვლევის მეთოდები ისწავლებოდეს კონკრეტულად პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტებისთვის საჭირო და მნიშვნელოვანი საკითხების გაძლიერებით და არა ზოგადი და საერთო ყველასთვის, როგორც პროგრამაშია. ვგულისხმობთ ისეთ საგნებს, როგორიცაა „პოლიტიკის კვლევის მეთოდები" როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი;
- სასურველია გასწორდეს ტექნიკური უზუსტობანი სადისერტაციო საბჭოსა და სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს ფუნქციების აღწერაში (მაგ.: წერია- „ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე ნიშნავს და უძღვება წინასწარი განაცხადის წარდგენა-დაცვას, დისერტაციის წინასწარ დაცვას და დაცვას", მაშინ გაუგებარია რას აკეთებს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე).

საბჭოს სხდომაზე ერთდროულად განიხილეს პოლიტიკის მეცნიერებების, ბიზნესის ადმინისტრირებისა და მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამები, გამომდინარე იქიდან, რომ ექსპერტთა ერთი ჯგუფი მონაწილეობდა აკრედიტაციის ვიზიტში და რეკომენდაციებიც მსგავსი იყო.

11.შპს საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური:	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	02
კრედიტების რაოდენობა:	180

მაია გონაშვილმა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველია სილაბუსებში უნივერსიტეტში არსებული სტანდარტის მიხედვით მიეთითოს არა მხოლოდ ძირითადი გამოცდების კვირების რაოდენობა, არამედ დამატებითი გამოცდების ვადებიც/კვირებიც. ასევე სასურველია წარმოდგენილ პროგრამასა და სილაბუსებში აისახოს კონკრეტულად საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების დაყოფა, რადგან სტუდენტისთვის იყო უფრო გასაგები, თუ რამდენი საათი ეთმობა შუალედურს ან დასკვნით გამოცდას კონკრეტულ საგანში. ზოგიერთ სილაბუსში შუალედური შეფასების კომპონენტები არ ჩანს და კრიტერიუმები და კომპონენტები არეულია. (მაგ. კოლოკვიუმი 1);
- სასურველია მოხდეს საგნების ოპტიმიზაცია. კერძოდ, პროექტ მენეჯმენტის საგანს დაერქვას კვლევითი პროექტის მართვა, რომელიც რეალურად უფრო შეესაბამება საგნის შინაარს. რეკომენდირებულია ზოგიერთ მოდულს ქონდეს წინაპირობა, მაგალითად, სტატია-თარგმნა და ა. შ. ასევე სასურველია, პროგრამაში „ტექსტის რეფერირება და თარგმნა" შეიცვალოს აკადემიური წერა დოქტორანტებისთვის ინგლისურ ენაზე, რაც დოქტორანტებს განუვითარებს უცხო ენაზე აკადემიური ტექსტების წერის უნარს. სასურველია, პროგრამიდან ამოღებული იყოს „სტატია" თავისი სილაბუსით;
- სასურველია სპეციალობის მოდულის საგანი, რომელიც 15 სხვადასხვა საგნის გაერთიანებაა, შეთავაზებული იქნას ერთი ზოგადი და შემდეგ, დოქტორანტის საკვლევი თემის გათვალისიწნებით შესაბამისი მოდულის საგნების კონცეფციებისა და თანამდედროვე ტენდენციების გაღრმავებული სწავლება იყოს არჩევით საგნებად შეთავაზებული;
- სასურველია დისერტაციის გაფორმების წესისთვის გამოყენებებული დანართი №2, რომელიც ითვალისწინებს "მოთხოვნები საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულების მიმართ". (ცვლილება №8 დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2014 წლის 19 სექტემბრის №40-14 ოქმით), შეიცვალოს, კერძოდ, ან გაფორმების წესს დაემატოს „საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტოროს წესი" ან ცალკე მომზადდეს სადოქტოროს გაფორმების წესი;

- რეკომენდებულია კვლევის მეთოდები ისწავლებოდეს კონკრეტულად ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტებისთვის საჭირო და მნიშვნელოვანი საკითხების გაძლიერებით და არა ზოგადი და საერთო ყველასთვის, როგორც პროგრამაშია;
- სასურველია გასწორდეს ტექნიკური უზუსტობანი სადისერტაციო საბჭოსა და სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს ფუნქციების აღწერაში. (მაგ.: წერია- „ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე ნიშნავს და უძღვება წინასწარი განაცხადის წარდგენა-დაცვას, დისერტაციის წინასწარ დაცვას და დაცვას", მაშინ გაუგებარია რას აკეთებს სადისერტაციო საბჭოს თავ-რე).

საბჭოს სხდომაზე ერთდროულად განიხილეს პოლიტიკის მეცნიერებების, ბიზნესის ადმინისტრირებისა და მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამები, გამომდინარე იქიდან, რომ ექსპერტთა ერთი ჯგუფი მონაწილეობდა აკრედიტაციის ვიზიტში და რეკომენდაციებიც მსგავსი იყო.

12. შპს საქართველოს უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	მასობრივი კომუნიკაცია
განათლების საფეხური:	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	0703
კრედიტების რაოდენობა:	180

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები წარადგინა მაია გონაშვილმა. მან აღნიშნა, რომ სამივე პროგრამა მსგავსი სტრუქტურით იყო აგებული, რის გამოც ჯგუფმა ერთად ჩაატარა გასაუბრებები. ჯგუფი შეხვდა სტუდენტებს, დამსაქმებლებს, პროგრამის ხელმძღვანელებს, აკადემიურ პერსონალს. ექსპერტის თქმით, დაწესებულებას ჰქონდა ის გარემო, რესურსი და ჰყავდა ისეთი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, რაც უზრუნველყოფდა დასახული შედეგების მიღწევას. წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველია სილაბუსებში უნივერსიტეტში არსებული სტანდარტის მიხედვით მიეთითოს არა მხოლოდ ძირითადი გამოცდების კვირების რაოდენობა, არამედ დამატებითი გამოცდების ვადებიც/კვირებიც. ასევე სასურველია წარმოდგენილ პროგრამასა და სილაბუსებში აისახოს კონკრეტულად საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების დაყოფა, რადგან სტუდენტისთვის იყო უფრო გასაგები, თუ რამდენი საათი ეთმობა შუალედურს ან დასკვნით გამოცდას კონკრეტულ საგანში. ზოგიერთ სილაბუსში შუალედური შეფასების კომპონენტები არ ჩანს და კრიტერიუმები და კომპონენტები არეულია (მაგ. კოლოკვიუმი 1);

- სასურველია მოხდეს საგნების ოპტიმიზაცია. კერძოდ, პროექტ მენეჯმენტის საგანს დაერქვას კვლევითი პროექტის მართვა, რომელიც რეალურად უფრო შეესაბამება საგნის შინაარს. რეკომენდირებულია ზოგიერთ მოდულს ქონდეს წინაპირობა, მაგალითად, სტატია-თარგმნა და ა. შ. ასეევე სასურველია, პროგრამაში „ტექსტის რეფერირება და თარგმნა" შეიცვალოს აკადემიური წერა დოქტორანტებისთვის ინგლისურ ენაზე, რაც დოქტორანტებს განუვითარებს უცხო ენაზე აკადემიური ტექსტების წერის უნარს. სასურველია, პროგრამიდან ამოღებული იყოს „სტატია" თავისი სილაბუსით და მის მაგივრად ჩასმული იყოს სულ მცირე, ერთი საგანი;
- სასურველია დისერტაციის გაფორმების წესისთვის გამოყენებებული დანართი №2, რომელიც ითვალისწინებს "მოთხოვნები საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულების მიმართ". (ცვლილება №8 დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2014 წლის 19 სექტემბრის №40-14 ოქმით), შეიცვალოს, კერძოდ, ან გაფორმების წესს დაემატოს „საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტოროს წესი" ან ცალკე მომზადდეს სადოქტოროს გაფორმების წესი;
- რეკომენდირებულია კვლევის მეთოდები ისწავლებოდეს კონკრეტულად მასობრივი კომუნიკაციის დოქტორანტებისთვის საჭირო და მნიშვნელოვანი საკითხების გაძლიერებით, და არა ზოგადი და საერთო ყველასთვის, როგორც პროგრამაშია;
- სასურველია გასწორდეს ტექნიკური უზუსტობანი სადისერტაციო საბჭოსა და სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს ფუნქციების აღწერაში. (მაგ.: წერია- „ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე ნიშნავს და უძღვება წინასწარი განაცხადის წარდგენა-დაცვას, დისერტაციის წინასწარ დაცვას და დაცვას", მაშინ გაუგებარია რას აკეთებს სადისერტაციო საბჭოს თავ-რე).

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები თვითონაც იზიარებდნენ აღნიშნულ რეკომენდაციებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა.

მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელმა დამატებით ვადებთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე განმარტა, რომ იყო ტექნიკური უზუსტობა, რადგან ავტორიზაციის ვიზიტის დროს გაიმიჯნა და ყველა სილაბუსში ცალკე გამოიყო ვადები, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ავტორიზაციას ვერ მიიღებდნენ.

ექსპერტმა, მაია გონაშვილმა დააზუსტა, რომ საუბარი იყო დებულების ჩანაწერზე, რომელიც არ იძლეოდა საშუალებას, დაედგინა გამოცდის ზუსტი ხანგრძლივობა. დებულების მიხდევით, გამოცდა შეიძლებოდა გაგრძელებულიყო მინიმუმ ორი საათის განმავლობაში, ხოლო მაქსიმალური ხანგრძლივობა არ იყო დაზუსტებული.

პროექტის მენეჯმენტის დასახელებასთან დაკავშირებული რეკომენდაცია დაწესებულების წარმომადგენლებმა გაიზიარეს და გაითვალისწინეს.

კვლევის მეთოდებთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მასკომუნიკაციისა და პოლიტიკის მეცნიერებების

შემთხვევაში, არ იყო გამორჩენილი არცერთი მეთოდი, სტუდენტებს აუცილებლად უნდა სცოდნოდათ, როგორც თვისობრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები.

ასევე, აღინიშნა, რომ თემის სპეციფიკა გათვალისწინებული იყო და თითოეული სტუდენტი სამუშაოს ასრულებდა თავის საკვლევ საკითხთან დაკავშირებით, ანუ კვლევას ამზადებდა და კვლევის მეთოდების სასწავლო კურსებსაც გაივლიდა მის მიერ შერჩეული თემის ჭრილში.

საბჭოს წევრმა, თამარ ბრეგვაძემ განაცხადა, რომ ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები არ უნდა ყოფილიყო წინააღმდეგობის გაწევის საფუძველი, რადგან ისინი ემსახურებოდა პროგრამების გაუმჯობესებას. თამარ ბრეგვაძემ აღნიშნა, რომ კვლევის მეთოდებთან დაკავშირებული რეკომენდაცია წინა პროგრამების განხილვის დროსაც იყო მსჯელობის საგანი.

ის ასევე დაინტერესდა, რატომ იყო ეს პროგრამები შეთავაზებული ცალ-ცალკე და არა ერთად, ინტერდისციპლინარული სახით, როცა ამდენად მსგავსი სტრუქტურა ჰქონდათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა 180 კრედიტია, საიდანაც 60 - წარმოადგენდა სასწავლო კომპონენტს. საკლევი თემატიკა და მისაღწევი შედეგები სხვადასხვა იყო და სასწავლო კომპონენტში განსხვავდებოდა სპეციალობის მოდულები. რთული იქნებოდა საერთო პროგრამის ფარგლებში იმ შედეგების მიღწევა, რაც პროგრამებს ჰქონდათ დასახული. ასევე, პრობლემა შეიქმნებოდა კვალიფიკაციის მინიჭების მხრივაც.

საბჭოს წევრმა, მაია მიქაშავიძემ განაცხადა, რომ ზოგჯერ ნამდვილად სჯობდა მიმართულებების დაკონკრეტება, რადგან სტუდენტები დოქტორანტურის საფეხურზე უფრო ირჩევდნენ ვიწრო მიმართულებებს და შეიძლებოდა სტუდენტს გასჩენოდა სურვილი ჩაებარებინა არა მაგალითად სოციოლოგიის, არამედ მასკომუნიკაციის სადოქტორო პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ გადაწყვიტეს გამოეყოთ მეტი თანხა და მოემზადებინათ სხვადასხვა მიმართულების დოქტორანტები.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია დაინტერესდა, თუ რამდენი სტუდენტი ირიცხებოდა აღნიშნულ პროგრამებზე. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მასობრივი კომუნიკაციისა და პოლიტიკური მეცნიერებების სადოქტორო პროგრამებზე სწავლობდა ორ-ორი სტუდენტი, ხოლო ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაზე - 12, ამათგან ერთ-ერთმა მოიპოვა რუსთაველის ფონდის გრანტი და იმყოფებოდა კონფერენციაზე ნიუ-იორკში.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია, დაინტერესდა, თუ ვინ იყო ხელმძღვანელი ბრენდინგის მიმართულებით. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ბრენდინგს ელდარ პირმისაშვილი ხელმძღვანელობდა.

ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინეს, ხოლო კვლევის მეთოდებთან დაკავშირებული რეკომენდაცია მისაღები იყო, უბრალოდ ამაზე მუშაობას დრო სჭირდებოდა.

13. **შპს საქართველოს უნივერსიტეტის ზუსტი, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ზუსტი, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული მეცნიერებები
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფიზიკის დოქტორი მათემატიკის დოქტორი ინფორმატიკის დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0502 0501 0401
კრედიტების რაოდენობა	180

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ჯგუფის წევრმა, რომეო გალდავამ და აღნიშნა, რომ პროგრამით გათვალისწინებული იყო სამი კვალიფიკაციის მინიჭება, რაც ექსპერტთა ჯგუფს მიზანშეუწონილად მიაჩნდა. ასევე გაახმოვანა შემუშავებული რეკომენდაციები:

- პროგრამაში გათვალსწინებულია სამი სხვადასხვა აკადემიური ხარისხის მინიჭება: ინფორმატიკის დოქტორი, მათემატიკის დოქტორი, ფიზიკის დოქტორი. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სამივე ხარისხი განეკუთვნება სხვადასხვა დარგს/სპეციალობას, და უფრო მეტიც სხვადასხვა მიმართულებას (04. ინჟინერია, 05. მეცნიერება/ საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი), ლოგიკურა პროგრამა წარდგეს ორი (ან სამი) დამოუკიდებელი პროგრამის სახით: ორი პროგრამის შემთხვეაში - 1. ინფორმატიკის სადოქტორო პროგრამა - მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ინფორმატიკის დოქტორი; 2. მეცნიერების/საბუნებისმეტყველო მეცნიერების სადოქტორო პროგრამა - მისანიჭებელი კვალიფიკაცია - მეცნიერების/საბუნებისმეტყველო მეცნიერების დოქტორი. სამი პროგრამის შემთხვევაში - 1. ინფორმატიკის სადოქტორო პროგრამა - მისანიჭებელი კვალიფიკაცია ინფორმატიკის დოქტორი; 2. ფიზიკის სადოქტორო პრგრამა - მისანიჭებელი ხარისხი ფიზიკის დოქტორი; 3. მათემატიკის/გამოყენებითი მათემატიკის სადოქტორო პროგრამა - მისანიჭებელი ხარისხი მათემატიკის დოქტორი;
- უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეხუთე მუხლის - მისანიჭებელი კვალიფიკაციების მეოთხე პუნქტში ჩაწერილია, რომ „ მესამე საფეხურის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს - „დოქტორი“, მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით“, ამ შემთხვევაში კი გვაქვს ერთი სადოქტორო პროგრამა და სამი მისანიჭებელი ხარისხი,რომელიც არის არა მარტო სხვადასხვა დარგის, უფო მეტიც - სხვადასხვა მიმართულების;

- აღწერის შესაბამისად, სადოქტორო პროგრამაზე მიიღებიან კომპიუტერული, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო მიმართულებების მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები;
- სასურველია პროგრამაზე მისაღებ კანდიდატთა კვალიფიკაცია დაზუსტდეს და ჩამოყალიბდეს უფრო ცხადად და დეტალიზებულად კვალიფიკაციია ეროვნული ჩარჩოს მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალის შესაბამისად. კერძოდ, გაუგებარია რას გულისხმობს ზუსტი მეცნიერებები, ხოლო კომპიუტერული მეცნიერებები ისედაც წარმოადგენენ ინჟინერიის მიმართულების ერთერთ ქვედარგს;
- აღსანიშნავია, რომ პროგრამაში „დარგის" განმსაზღვრელია მხოლოდ ერთი სასწავლო კურსი. ხოლო არჩევით ბლოკებში მეორდება ერთი და იგივე სასწავლო კურსები, ძირითადად არა დარგობრივი ხასიათის. სასურველია დარგობრივი სასწავლო კურსების გაზრდა;
- პროგრამაში არის ჩანაწერი „სადოქტორო პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს ახალი ცოდნის შექმნას და დოქტორანტის ჩამოყალიბებას მაღალი სამეცნიერო ღირებულებების მქონე მეცნიერად ზუსტი, საბუნებისმეტყველო ან კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებით, რომელსაც ექნება დარგისუახლესი ცოდნა და შეეძლება განახორციელოს ორიგინალური სამეცნიერო კვლევები".ამ შემთხვევაში გაუგებარია რომელი დარგის უახლესი ცოდნა დოქტორანტს. აუცილებელია დაკონკრეტება.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამაში გათვალისწინებული იყო სამი სხვადასხვა აკადემიური ხარისხის მინიჭება: ფიზიკის დოქტორი, მათემატიკის დოქტორი, ინფორმატიკის დოქტორი, მაგრამ მათი მინიჭება ხდებოდა ერთი სადოქტორო პროგრამის ფარგლებში. ექსპერტების რეკომენდაცია იყო ეს პროგრამა დაყოფილიყო მისანიჭებელი კვალიფიკაციების მიხედვით, რაც ეწინააღმდეგებოდა მათ ძირითად მოტივაციას, რის გამოც შეიქმნა მსგავსი სახის სადოქტორო პროგრამა. კერძოდ, კვლევები, რომლის ფარგლებშიც სურდათ პროგრამაზე მიღების გამოცხადება, ინტერდისციპლინარული ხასიათის იყო. უნივერსიტეტში მიმდინარეობდა კომპლექსური ხასიათის კვლევები, როგორიც იყო პირველი თემა: ნანო სტრუქტურების კომპიუტერული მოდელირება და მეორე თემა: კომპიუტერული ქსელების უსაფრთხოება და ლოგიკურ ალბათური მოდელების აგება. ორივე თემა დაკავშირებული იყო როგორც ფიზიკის მიმართულებასთან, რამდენადაც ნანო ნაწილაკების გამოკვლევა მოითხოვდა მათი ფიზიკური ბუნების შესწავლას, კომპიუტერული მოდელირება კი ინფორმატიკის და მათემატიკური მოდელირების საკითხების გამოკვლევას. შესაბამისად აღნიშნულ თემატიკაზე შესაძლებელი იყო ჩართულიყო სხვადასხვა პროფილის დოქტორანტები და მათი კვლევების საფუძველზე სამომავლოდ მომზადებულიყო სადისერტაციო ნაშრომი ფიზიკაში, ან მათემატიკაში, ან ინფორმატიკაში. ანალოგიურად მეორე საკვლევი თემის

შესახებ. აქ უკვე ჩართულნი იყვნენ დოქტორანტები და მიმდინარეობდა კვლევები. დაწესებულების წარმომადგენლები მიიჩნევდნენ რომ კვლევების შესაბამისად სადოქტორო პროგრამას უნდა ჰქონოდა ერთი მთლიანი სახე. ამასთან დაცული იყო აკრედიტაციის სტანდარტებით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა და პროგრამის შედეგები გაწერილი იყო მისანიჭებელი კვალიფიკაციის მიხედვით.

პროგრამის ხელმძღვანელის თქმით გაითვალისწინეს ექსპერტთა რეკომენდაცია და დაზუსტდა პროგრამაზე მიღების წინაპირობა, პროგრამაზე დაშვება გაკეთდა მეცნიერების/საბუნებისმეტყველო მეცნიერების და ინჟინერიის მიმართულების მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირები. ამასთან მათ მოეთხოვებათ საკვლევი თემატიკის შესაბამისი კვლევის კონცეფციისა და ინგლისური ენის B2 დონიც ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

დაწესებულებამ ასევე გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და მომავალში სასწავლო კურსში დაამატებდნენ დარგის განმსაზღვრელ არჩევით კურსებს.

პროგრამის მიზნებში დაზუსტდა დარგის დასახელება და სამომავოდ იქნებოდა მეცნიერების/საბუნებისმეტყველო მეცნიერების და ინჟინერიის მიმართულებით შექმნილი ახალი ცოდნა.

დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ პროგრამაში გათვალისწინებული იყო სამი სხვადასხვა აკადემიური ხარისხის მინიჭება: ფიზიკის დოქტორი, მათემატიკის დოქტორი, ინფორმატიკის დოქტორი, მაგრამ მათი მინიჭება ხორციელდებოდა ერთი სადოქტორო პროგრამის ფარგლებში. ექსპერტების რეკომენდაცია, პროგრამის დაყოფა მისანიჭებელი კვალიფიკაციების მიხედვით, ეწინააღმდეგებოდა მათ ძირითად მოტივაციას, რომლის გამოც ასეთი სახით წარმოადგინეს სადოქტორო პროგრამა. კერძოდ, კვლევები, რომლის ფარგლებშიც სურდათ გამოეცხადებინათ სადოქტორო პროგრამაზე მიღება ინტერდისციპლინარული ხასიათის იყო. საქართველოს უნივერსიტეტში მიმდინარეობდა კომპლექსური ხასიათის კვლევები, როგორიც იყო პირველი თემა: „ნანო სტრუქტურების კომპიუტერული მოდელირება: და მეორე: - „კომპიუტერული ქსელების უსაფრთხოება და ლოგიკურ ალბათური მოდელების აგება“. ორივე თემა დაკავშირებული იყო, როგორც ფიზიკის მიმართულებასთან, რამდენადაც ნანო ნაწილაკების გამოკვლევა მოითხოვდა მათი ფიზიკური ბუნების შესწავლას, კომპიუტერული მოდელირება კი ინფორმატიკის და მათემატიკური მოდელირების საკითხების გამოკვლევას. შესაბამისად, ამ თემატიკაზე შესაძლებელი იყო სხვადასხვა პროფილის დოქტორანტების ჩართვა და მათი კვლევების საფუძველზე მომზადებულიყო სადისერტაციო ნაშრომი ფიზიკაში, ან მათემატიკაში, ან ინფორმატიკაში. ანალოგიურად მეორე საკვლევ თემასთან დაკავშირებით. აქ უკვე ჩართული იყვნენ დოქტორანტები და მიმდინარეობდა კვლევები. დაწესებულების აზრით, კვლევების შესაბამისად სადოქტორო პროგრამას უნდა ჰქონოდა ერთი მთლიანი სახე. ამასთან, დაცული იყო აკრედიტაციის სტანდარტებით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა და პროგრამის შედეგები გაწერილი მისანიჭებელი კვალიფიკაციის მიხედვით.

დაწესებულების წარმომადგენლები ითვალისწინებდნენ ექსპერტების მეორე რეკომენდაციას და შესაბამისად, დაზუსტდა პროგრამაზე მიღების წინაპირობა. პროგრამაზე

დაიშვებოდნენ მეცნიერების/საბუნებისმეტყველო მენიერების და ინჟინერიის მიმართულების მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პორები. ამასთან მათ მოეთხოვებოდათ საკვლევი თემატიკის შესაბამისი კვლევის კონცეფციის წარმოდგენა და ინგლისური ენის დამადასტურებელი B2 დონის ცოდნის შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენა.

სასწავლო კურსში დაემატებოდა დარგის განმსაზღვრელი არჩევითი კურსები.

პროგრამის მიზნებში დაზუსტდა დარგის დასახელება სადაც დოქტორანტის მიერ იქნება წარმოდგენილი ახალი ცოდნა. ეს იქნება მეცნიერების/საბუნებისმეტყველო მეცნიერების და ინჟინერიის მიმართულებით შექმნილი ახალი ცოდნა.

საბჭო დაინტერესდა როგორ მოხდებოდა პროგრამაზე მიღება. რაზეც დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ დოქტორანტობის კანდიდატი სკოლის სამეცნიერო საბჭოზე მოითხოვდა უფლებას, რომ გამოცხადებულიყო ვაკანსია, ამის საფუძველზე საბუთების მიღება მოხდებოდა და როცა გამოქვეყნდებოდა კვლევის თემა, წარმოედგინა კონცეფცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, სერგო ცირამუამ მაგალითად მოიყვანა დოქტორანტი რომელიც კომპიუტერული ქსელის საიმედოობისა და უსაფრთხოების შესახებ აკეთებდა კვლევას სადაც სამივე მიმართულება სჭირდებოდა, თუმცა საბოლოდ ინფორმატიკის დოქტორის ხარისხი მიენიჭებოდა.

თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა ხელმძღვანელობის პროცესი როგორ ჰქონდათ გააზრებული, როგორ იმუშავებდნენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ იმ დროისათვის სამი დოქტორანტი ჰყავდა ინფორმატიკის მიმართულებას, სხვა მიმართულებებზე როდესაც ჩაირიცხებოდნენ სტუდენტები მათ ეყოლებოდათ ცალკე ხელმძღვანელი.

თამარ ბრეგვაძის აზრით ასეთი პროგრამის არსებობა ხელს შეუწყობდა ურთიერთთანამშრომლობის, გამოცდილებისსა და ცოდნის გაზიარებას და გაამდიდრებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, კახაბერ თავზარაშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ სხვა დანარჩენ პუნქტებში მათ ეთანხმებოდნენ.

14. შპს საქართველოს უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	სამართალმცოდნეობა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამართლის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	06
კრედიტების რაოდენობა	240

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია აკრედიტაციის საბჭოს გააცნო ექსპერტმა, ზვიად როგავამ, რომელმაც აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს ხარვეზები არ დაუფიქსირებია, თუმცა, ჰქონდათ მოსაზრებები პროგრამის სამომავლო გაუმჯობესების თვალსაზრისით, რასაც რეკომენდაციების სახე მიეცა. კერძოდ:

- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამაში საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებიდან გაიმიჯნოს დასაქმების სფეროები და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.
- სასურველია, საწავლების მეთოდების განმარტებები რომელიც დამტკიცებულია უნივერსიტეტის უფლებამოსილი ორგანოს მიერ, მაგრამ უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით არ არის ხელმისაწვდომი სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის, აისახოს საგანმანათლებლო პროგრამაში ან შესაბამის სილაბუსში;
- მოცულობიდან და შინაარსიდან გამომდინარე, სასურველია, სასწავლო კურსი „სამოქალაქო საპროცესო სამართლის საფუძვლების“ გაიყოს ორ ნაწილად, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი სასწავლო კომპონენტიდან სასწავლო კურსი „სამოქალაქო საპროცესო სამართალი (გაღრმავება)“ ამოღებული იქნას, ვინაიდან აღნიშნული სასწავლო კურსების მიზნების, სწავლის შედეგები და თემატიკა უმეტესწილად ფარავს ერთმანეთს;
- მოცემულობიდან და შინაარსიდან გამომდინარე, სასურველია, სასწავლო კურსი „სისხლის სამართლის პროცესი“ გაიყოს ორ ნაწილად, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი სასწავლო კომპონენტიდან სასწავლო კურსი „სისხლის სამართლის პროცესი (გაღრმავება)“ამოღებული იქნას, ვინაიდან აღნიშნული სასწავლო კურსების მიზნები, სწავლის შედეგები და თემატიკა უმეტესწილად ფარავს ერთმანეთს.
- სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლიდან გამომდინარე, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი უნდა იცნობდეს იურისტის საქმიანობის ეთიკის ფარგლებს. პროფესიული ეთიკის ცალკეული საკითხები ისწავლება სავალდებულო სასწავლო კურსის „სამოქალაქო საპროცესო სამართლის საფუძვლები“-ს ფარგლებში (მე-4 სასწავლო კვირას სხვა

საკითხებთან ერთად ისწავლება სამოსამართლო ეთიკის საკითხები), ხოლო ნაწილი არჩევითი სასწავლო კურსის „იურისტის პროფესიული უნარჩვევები“-ს ფარგლებში (ისწავლება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის საკითხები). სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამა სავალდებულო სასწავლო კურსის სახით ითვალისწინებდეს პროფესიული ეთიკის სწავლებას, რომელიც სამოსამართლო ეთიკისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის საკითხების შესწავლის გარდა მოიცავს საპროკურორო ეთიკის საკითხებისა და ნოტარიუსის საქმიანობის ეთიკურ-სამართლებივი საწყისებისა და ნოტარიუსის ქცევის სტანდარტების სწავლებასაც;

- სასურველია, სასწავლო კურსი „სანივთო სამართალი“ წინ უსწრებდეს სასწავლო კურსის „ვალდებულებითი სამართალი“-ს სწავლებას ან ისწავლებოდეს აღნიშნულ სასწავლო კურსთან პარალელურ რეჟიმში;
- სასურველია, ცალკეულ სასწავლო კურსებში (მაგალითად: შესავალი კრიმინოლოგიაში, სისხლის სამართლის პროცესში) განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა;
- სასწავლო კურსი „კრიმინალისტიკა“ კრიმინალისტიკური ტექნიკისა და კრიმინალისტიკური ტაქტიკის საკითხების სწავლების ნაცვლად, სასურველია ითვალისწინებდეს, დანაშაულის გახსნის მეთოდიკის არსისა და ცალკეული სახის დანაშაულთა გახსნის მეთოდიკის საკითხების სწავლებას;
- საგანმანათლებლო პროგრამაში ნაკლები ყურადღება ეთმობა ადგილობრივი თვითმართველობის საკითხების სწავლებას. სასურველია, კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართლის სასწავლო კურსის ფარგლებში ან გაიზარდოს აღნიშნული საკითხების სწავლება (დათმობილი აქვს მხოლოდ 2 სალექციო საათი) ან სპეციალობის სასწავლო კურსებს დაემატოს სასწავლო კურსი - ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალური) სამართალი.
- სასწავლო კურსების სილაბუსში აუცილებელია სრულად (ამომწურავად) და კონკრეტულად მიეთითოს სასწავლო კურსის შესწავლისათვის რელევანტური საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები, ასევე ნორმატიული აქტები.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის საშუალება.

უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დეკანმა, ანი ხურციძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციებისთვის და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი რეკომენდაციები სრულად იქნა გაზიარებული დაწესებულების მხრიდან, რაც მიმართული იყო პროგრამის კონკურენტუნარიანობის გაზრდისკენ.

საბჭოს წევრი თამარ ზარანდია დაინტერესდა, სკაითხები ვიზიტის შემდეგ გამოსწორდა თუ ვიზიტის მიმდინარეობისას იქნა გათვალისწინებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ზოგიერთი მათგანი ვიზიტის დროსვე იქნა გათვალისწილებული, ზოგიერთ მათგანი კი ვიზიტის დასრულების შემდეგ გამოსწორდა.

პირველ რეკომენდაციასთან დაკავშრებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გათვალისწინებული იყო და პროგრამის მიზანში აბზაცებით გამოიყო დასაქმების და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობები. გათვალისწინებულ იქნა მეორე რეკომენდაციაც, სამოქალაქო საპროცესო სამართალი ორ ნაწილად გაიყო და პროგრამიდან ამოღებულ იქნა სამოქალაქო პროცესის გაღრმავება. ასევე, სისხლის სამართლის პროცესი ორ ნაწილად გაიყო და პროგრამიდან ამოღებულ იქნა სისხლის სამართლის პროცესის გაღრმავება. იურისტის ეთიკის საკითხების შესწავლაც ასევე გათვალისწინებულ იქნა პროგრამის სავალდებულო და არჩევით კომპონენტებში. წარმომადგენლის თქმით, პროგრამის მიხედვით, სანივთო სამართალი ვალდებულებითი სამართლის პარალელურად ისწავლებოდა, ასევე მოხდა ლიტერატურის განახლება სილაბუსებში. ასევე შევიდა ცვლილებები კრიმინალისტიკის კურსის შინაარსში და გათვალისწინებულ იქნა დანაშაულის გახსნის მეთოდიკის საკითხებიც. ასევე, პროგრამაში არჩევითი კურსის სახით ჩაისვა ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალური) სამართალი, სრულად მიეთითა ნორმატიული აქტები და რელევანტური კონვენციები. ამდენად, ყველა რეკომენდაცია სრულად იქნა გაზიარებული დაწესებულების მხრიდან.

თამარ ზარანდიამ აღნიშნა, რომ ნამდვილად განვითარებისკენ მიმართული რეკომენდაციები იყო წარმოდგენილი, რისთვისაც მადლობა გადაუხადა ექსპერტს, ამასთან აღნიშნა, რომ დაწესებულების პერსონალისთვის შესაბამისი ცვლილებების განხორციელება მისი პროფესიონალიზმიდან გამომდინარე, სირთულეს არ წარმოადგენდა.

15.შპს საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	სამართალი
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამართლის მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	06
კრედიტების რაოდენობა	120

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია აკრედიტაციის საბჭოს გააცნო ექსპერტმა, ზვიად როგავამ, რომელმაც აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს ხარვეზები არ დაუფიქსირებია, თუმცა, ჰქონდათ მოსაზრებები პროგრამის სამომავლო გაუმჯობესების თვალსაზრისით, რასაც რეკომენდაციების სახე მიეცა. კერძოდ:

- სასურველია, სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში, პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, გამოიყოს დასაქმების სფეროები და სწავლის გაგრძელების შესაძლებობები;
- სასურველია, სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში აღინიშნოს (მიეთითოს) ის სასწავლო კურსები, რომელთა სწავლებაც მიმდინარეობს ინგლისურ ენაზე (მაგალითად, შედარებითი სახელშეკრულებო სამართალი, საერთაშორისო ბიზნეს სამართალი და სხვა);
- ეფექტური პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, სასურველია, გაიზარდოს პრაქტიკული კომპონენტის - სამართლის კლინიკის - კრედიტების რაოდენობა. ამასთან, სპეციალობით მომუშავე მაგისტრანტებისთვის, სასურველია, სამართლის კლინიკის ნაცვლად პროგრამა ითვალისწინებდეს ალტერნატიული კრედიტების დაგროვების შესაძლებლობას. პრაქტიკული კომპონენტი - სამართლის კლინიკა - უნდა იძლეოდეს პრაქტიკული უნარ ჩვევების გამომუშავების შესაძლებლობას სისხლის სამართლის მიმართულებითაც;
- სასწავლო კურსი - „სასამართლო გადაწყვეტილებების მიღების მეთოდიკა და სასჯელის შეფარდება" ფაქტობრივად არ ითვალისწინებს სასამართლო გადაწყვეტილების მიღების მეთოდიკის საკითხების სწავლებას და მხოლოდ შემოიფარგლება სასჯელთა შეფარდების საკითხებით. ამასთან, სასურველია აღნიშნული კურსი ისწავლებოდეს სასამართლო პრაქტიკის კონტექსტში;
- გარკვეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული საკითხები და ლიტერატურა ფაქტობრივად სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული მთელი რიგი სასწავლო კურსების საკითხისა და ლიტერატურის იდენტურია. მაგალითად: სასწავლო კურსი „ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმები" ფაქტობრივად იმეორებს სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსის - ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სილაბუსით გათვალისწინებულ მთელ რიგ საკითხებდა და ლიტერატურას (გამეორებულია ისეთი საკითხები, როგრიცაა ადმინისტრაციული ხელშეკრულების ნება და მისი მნიშვნელობა, რელაქტი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნება და ნიშნები, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებივი აქტის სახეები და მათი პრაქტიკული დანიშნულება და სხვა). ამასთან, სასურველია, აღნიშნული კურსი ისწავლებოდეს სასამართლო პრაქტიკის კონტექსტში;
- ცალკეულ სილაბუსში, სასურველია, განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა. მაგალითად, შედარებითი კონსტიტუციური სამართლის სასწავლო კურსისთვის მნიშვნელოვანია ისეთი სახელმძღვანელოების გამოყენება როგორიცაა: პიერ პაკტე, ფერდინან მელენ-სუკრამანიანი, კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2012 და გ. გოგიაშვილი, შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, თ., 2014. ამასთან, „ქონებრივი და სხვა დანაშაულების სუბსუმციისა და კვალიფიკაციის პრობლემები"-ს სასწავლო კურსის სილაბუსში ნაცვლად 2006 და 2009 წლების სახელმძღვანელოებისა, სასურველია,

გამოყენებული იქნას სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ავტ. კოლ. გამომც. „მერიდიანი“, თბ. 2012.

- საგანმანათლებლო პროგრამაში სისხლის სამართლის პროცესი ჩაშლილია 6 სასწავლო კურსად (მტკიცებითი სამართალი, სისხლის სამართალწარმოების წინასასამართლო პროცესი (გაღრმავება), სისხლის სამართლის საქმეთა წარმოება სასამართლოში (გაღრმავება), ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები და სისხლის სამართლის პროცესი, გამოძიების საფუძვლები). სასურველია, მოხდეს აღნიშნული სასწავლო კურსების გამსხვილება, მით უმეტეს, რომ აღნიშნული სასწავლო კურსების ქართულენოვანი სავალდებულო ლიტერატურა ფაქტობრივად იდენტურია. მაგალითად, სისხლის სამართლის პროცესის 2008 წლის ზოგადი და კერძო ნაწილების სახელმძღვანელოები (რედ. - რ.გოგშელიძე) სავალდებულო ლიტერატურის სახით, სხვა ქართულ და უცხოურ ლიტერატურასთან ერთად, მითითებულია 4 სასწავლო კურსში (მტკიცებითი სამართალი, სისხლის სამართალწარმოების წინასასამართლო ეტაპი (გაღრმავება), სისხლის სამართლის საქმეთა წარმოება სასამართლოში (გაღრმავება), გამოძიების საფუძვლები), ზ.მეიშვილი, ო.ჯორბენაძის 2007 წლის „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები“ სავალდებულო ლიტერატურის სახით, სხვა ქართულ და უცხოურ ლიტერატურასთან ერთად, მითითებულია 3 სასწავლო კურსში (სისხლის სამართალწარმოების წინასასამართლო ეტაპი (გაღრმავება), სისხლის სამართლის საქმეთა წარმოება სასამართლოში (გაღრმავება), მტკიცებითი სამართალი), შ. ტრექსელის 2009 წლის „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“ სხვა ქართულ და უცხოურ ლიტერატურასთან ერთად მითითებულია 4 სასწავლო კურსში (სისხლის სამართალწარმოების წინასასამართლ ეტაპი (გაღრმავება), ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, ოპერაციულ-სამძებრო ღონისძიებები და სისხლის სამართლის პროცესი, გამოძიების საფუძვლები), მაკბრაიდი, ჯერემის 2011 წლის „ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი“ სხვა ქართულ და უცხოურ ლიტერატურასთან ერთად მითითებულია 2 სასწავლო კურსში (ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში და ოპერაციულ სამძებრო ღონისძიებები და სისხლის სამართლის პროცესი). უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ლიტერატურა ფართოდ გამოიყენება ბაკალავრიატის დონეზეც.
- მიუხედავად იმისა, რომ სამაგისტრო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების წესი, კომპონენტები და შეფასების კრიტერიუმები ასახულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ „საბაკალავრო და სამაგისტროსწავლების დებულება“-ში, სასურველია, სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავდეს აღნიშნული კომპონენტის სილაბუსიც, რომელშიც აისახება აღნიშნული კომპონენტის მიზნებიც და სწავლის შედეგებიც, ასევე პროგრამის ამ კომპონენტისათვის დამახასიათებელი თავისებურებები.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის საშუალება.

დაწესებულების სამართლის სკოლის დეკანმა, ანი ხურციძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციებისთვის და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებები სრულად იქნა გაზიარებული დაწესებულების მხრიდან, რაც მიმართული იყო პროგრამის კონკურენტუნარიანობის გაზრდისკენ. მისი თქმით, პირველი რეკომენდაცია წინა საკითხის იდენტური იყო, ამდენად, აღარ გაამახვლდება მასზე დამატებით ყურადღებას.

მეორე საკითხთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლმა განმარტა, რომ სწავლების ენა ინგლისური იყო, რაც სილაბუსითაც დასტურდებოდა.

მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შესაბამისი სასწავლო კურსი ექვს კრედიტიანი იყო, მოგვიანებით კი თორმეტ კრედიტიანი გახდა. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის ხუთი კლინიკა ჰქონდათ, სამაგისტროზე მხოლოდ ერთი, სამომავლოდ აუცილებლად გამოყოფდა უნივერსიტეტი რესურსს ამ მიმართულებით, ამ ეტაპზე რეკომენდაცია ნაწილობრივ უკვე გათვალისწინებული იყო.

მეოთხე საკითხთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კურსის არააქტუალობის გამო, საერთოდ ამოღეს იგი სასწავლო კურსების ჩამონათვალიდან.

თემატიკის დამთხვევასთან დაკავშირებით, დაწესბეულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ მხირვ, დაზუსტდა თემატიკის სიღრმე, ამდენად უკვე ნათლად იკვეთებოდა რომ თემატიკის გადაფარვას ადგილი არ ჰქონდა.

წარმომადგენლემა ასევე ისაუბრა სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სილაბუსები ვიზიტის შემდგომ გამდიდრა ლიტერატურით, ასევე გამსხვილდა სასწავლო კურსები, თითოეული მიმართულებით არჩევითი კურსები დაახლოებით 15-20 კრედიტის მოცულობით იყო წარმოდგენილი, სტუდენტის სავარაუდო ვიწრო ინტერესების შესაბამისად.

თამარ ზარანდიამ აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა ლიტერატურასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას, ასევე, კლინიკასთან დაკავშირებით წარმოდგენილ რეკომენდაციას და დაინტერესდა, რეკომენდაციები ვიზიტის მიმდინარეობისას იქნა გათვალისწინებული, თუ მოგვიანებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვიზიტის მიმდინარეობისას წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაში არაფერი შეცვლილა, ვიზიტის შემდეგ გაითვალისწინეს საკითხთა ნაწილი, ხოლო დანარჩენი რეკომენდაციების გათვალისწინებას სამომავლოდ აპირებდნენ.

16. შპს საქართველოს უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	სამართალმცოდნეობა
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამართლის დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	06
კრედიტების რაოდენობა	180

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია აკრედიტაციის საბჭოს გააცნო ექსპერტმა, ზვიად როგავამ, რომელმაც აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა ხარვეზები, რაც საჭიროებდა გამოსწორებას. კერძოდ:

- სამართლის სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამა სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების ნაცვლად ითვალისწინებდეს დოქტორანტის სემინარს. ამასთან, სასემინარო ნაშრომის თემა უნდა ეძღვნებოდეს დარგის/ქვედარგის აქტუალურ საკითხებს და იგი არ შეიძლება იყოს სადისერტაციო თემის ნაწილი. ამ შემთხვევაში დოქტორანტი შერჩეული თემის ფარგლებში შეიძენს კონკრეტული დარგის/ქვედარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ცოდნას, გამოუმუშავდება პრობლემატური საკითხების გაცნობიერების, პრობლემის სწორად და ეფექტურად გადაწყვეტის, ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მიდგომების შემუშავების (გამოყენების), საკითხის კრიტიკული გააზრებისა და ინდივიდუალური მეთოდებით დამუშავების, აგრეთვე თემატურ დისკუსიაში დასაბუთებულად ჩართვის უნარი;
- სამართლის სადოქტორო პროგრამა სასწავლო კომპონენტის ფარგლებში ორი დამოუკიდებელი სასწავლო კურსის სახით ითვალისწინებს რაოდენობრივი კვლევის მეთოდებისა (5 კრედიტი) და თვისობრივი კვლევის მეთოდების (5 კრედიტი) სწავლებას. სასურველია, აღნიშნული კურსების გაერთიანება სასწავლო კურსის სამეცნიერო კვლევის მეთოდების დარგობრივი სასწავლო კურსის ფარგლებში, რომელიც აღნიშნულ მეთოდებთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს სამართლის სპეციფიკური კვლევის მეთოდების სწავლებას;
- სამართლის სადოქტორო პროგრამა სასწავლო კომპონენტის ფარგლებში თუნდაც არჩევითი კომპონენტის სახით აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს აკადემიური/სამეცნიერო წერის სწავლებას. აღნიშნული სასწავლო კურსი რელევანტურია იმ სტუდენტებისთის, რომლებსაც სამაგისტრო სწავლების საფეხურზე არ მიუღიათ საფუძვლიანი თეორიული ცოდნა საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული აკადემიური წერის პრინციპების, სამეცნიერო ნაშრომის შექმნის მეთოდების, ხერხებისა და

საშუალებების, სამეცნიერო კვლევის მეთოდების, სამეცნიერო კვლევის შინაარსობრივი მოთხოვნებისა და ტექნიკური სტანდარტის შესახებ;

- სწავლის სასურველი შედეგის მიღების მიხნით, სასურველია გაიზარდოს პედაგოგიური პრაქტიკის კრედიტი (დამუკიდებელი მუშაობისთის სილაბუსი ითვალისწინებს 25 საათს) და გაიზარდოს დოქტორანტის აქტივობებიც (შუალედური და დასკვნითი გამოცდისათვის საკითხების მომზადების, შუალედური და დასკვნითი გამოცდის ნაშრომის გასწორების და ა.შ. სახით). ამასთან, დოქტორანტისთვის, რომელსაც ამავდროულად საქართველოს ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელი, ასისტენტი ან მოწვეული სპეციალისტია და უძღვება სასწავლო კურსს, პედაგოგიური პრაქტიკის ნაცვლად პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს კრედიტის ალტერნატიული დაგროვების შესაძლებლობას (მაგალითად, შესაბამისი სპეციალობის ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის კაზუსთა კრებულის ან დამხმარე ლიტერატურის და სხვ. მომზადება);
- სასწავლო კურსი „მეცნიერების ფილოსოფია“ (10 კრედიტი) სავალდებულო ლიტერატურის სახით ითვალისწინებს 50-ზე მეტ სახელმძღვანელოს, სტატიასა და მონოგრაფიას, რომელთა60 პროცენტზე მეტი ინგლისურენოვანია. სასურველია, მოხდეს აღნიშნული ლიტერატურის ოპტიმიზაცია;
- სასწავლო კურსი „სწავლების მეთოდები და სასწავლო კურსის დიზაინი“ (5 კრედიტი) ითვალისწინებს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის უზრუნველყოფის საკითხების სწავლებასაც, რაც აღნიშნული სასწავლო კურსის ფარგლებში ირელევანტურია. გგანათლების მარეგულირებელი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, ასევე ევროპული უმაღლესი განათლების სივრცეში მიმდინარე პროცესების მარეგულირებელი საერთაშორისო კონვენციების შესახებ საფუძვლიანი თეორიული ცოდნის შეძენისა და უმაღლესი განათლების დაწესებულების ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო საუნივერსიტეტო დოკუმენტაციის, მათ შორის კურიკულუმისა და სილაბუსის შემუშავების, დიპლომის დანართის შედგენის, ასევე უმაღლესი განათლების დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის შეფასებისა და მისი გაუმჯობესებისათვის წინადადებების შემუშავების უნარის გამომუშავების მიზნით, სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებდეს განათლების სამართლისა და კურიკულუმის შედგენის მეთოდიკის ან განათლების მენეჯმენტის სასწავლო კურსებს;
- პროგრამის კვლევითი კომპონენტები, პროგრამის სასწავლო კომპეტენციების მსგავსად, სტუდენტის გაწეული შრომის შეფასებისას გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს შუალედურ შეფასებებს და დასკვნით შეფასებებს. ამასთან, დასკვნითი შეფასება არ უნდა აღემატებოდეს სასწავლო კომპონენტის მაქსიმალური შეფასების ანუ 100 ქულის 40 პროცენტს;
- სამართლის სადოქტორო პროგრამის გაუმჯობესებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირთა მოზიდვის მიზნით, დაწესებულებამ სასურველია უზრუნველყოს შესაბამისი დარგის/სპეციალისტების ჩართვა სადოქტორო პროგრამაში, კერძოდ, სამართალმცოდნეობის

(სამართლის ისტორიის, სამართლის მეთოდების), ასევე საერთაშორისო საჯარო სამართლის მიმართულებთ.

ექსპერტის თქმით, საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი კვლევითი კომპონენტები ფასდებოდა ერთჯერადად, რაც ეწინააღმდეგებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებას. ზვიად როგავას თქმით, აღნიშნული საკითხი გამოსწორდა, რისი დადასტურებაც შეეძლო, რადგან პირადად გაეცნო საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებებს ვიზიტის დასრულების შემდეგ, რადგან დაწესებულების წარმომადგენელებმა შესაბამისი ცვლილებების ამსახველი დოკუმენტაცია ელექტრონული სახით გაუგზავნეს ვიზიტის შემდგომ. ასევე, ელექტრონული პროგრამის მეშვეობით ირკვეოდა, რომ პროგრამის განხორციელებას ემსახურებოდა ოთხი აკადემიური პერსონალი, თუმცა, დაზუსტების შემდეგ დადგინდა რომ მათი რიცხვი ექვსს შეადგენს.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს მოსარზებებისთვის. მისი თქმით რეკომენდაციები უკვე სრულად იყო გათვალისწინებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ძალიან დიდი მოცულობის სამუშაოები ტარდებოდა და წარმოუდგენელი იყო დოქტორანტების მიერ გამოყენებული ლიტერატურის სრულად ასახვა, სათანადო სიღრმით ყველაფრის წარმოჩენა.

თამარ ზარანდია დაინტერესდა, რამდენი სემინარი იყო წარმოდგენილი, პროგრამაში. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მხოლოდ ერთი სემინარის მომზადება უწევდა დოქტორანტს.

თამარ ზარანდიამ ყურადღება გაამახვილა კვლევის მეთოდების სწავლების მიზნით წარმოდგენილ სასწავლო კურსზე, მისი მოსაზრებით, წარმოუდგენელი იყო ერთ ადამიანს განეხორციელებინა აღნიშნული სასწავლო კურსი კვლევის მეთოდებში ყველა მიმართულებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აკადემიური წერის ნორმები უკვე უნდა სცოდნოდა დოქტორანტს, რადგანაც საბაკალავრო და შემდგომ - სამაგისტრო დონეზე სტუდენტს აუცილებლად სჭირდებოდა აღნიშნული ნორმების ცოდნა.

თამარ ზარანდიამ ურჩია დაწესებულების წარმომადგენელებს, რადგანაც აკადემიური წერის კურსი ისედაც ხორციელდებოდა უნივერსიტეტში, წარმოედგინათ იგი აღნიშნულ პროგრამაშიც.

დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ჩარიცხვის მსურველს აუცილებლად მოუწევდა განაცხადთან ერთად სამაგისტრო ნაშრომის წარმოდგენა, ამდენად, სათანადოდ მოწმდებოდა, რამდენად ჰქონდა კანდიდატს შესაბამისი ცოდნა და უნარები. თუმცა, რეკომენდაცია მაინც გაითვალისწინეს.

პედაგოგიური მოდულის ნაწილში, დაწესებულების წარმომადგენლების თქმით, სწავლების მეთოდებს და კურსის დიზაინს სწავლობდნენ დოქტორანტები, აღნიშნული ნათლად გამოკვეთეს რეკომენდაციის შემდეგ.

მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შესაბამისი დაკონკრეტება მოახდინეს, ასევე მეექვსე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, შესაბამისი მეთოდიკა ასახეს შესაბამის კურსში, შესაბამის კვირაში.

მეშვიდე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, წარმომადგენელმა აღნიშნა რომ განათლების სამართალს ასწავლიდნენ სტუდენტებს და ექსპერტთა მიერ მითითებული სასწავლო კურსი აღარ გაითვალისწინეს, რათა არ მომხდარიყო საკითხთა დუბლირება.

ასევე, წარმომადგენლების განცხადებით, ყველა კვლევით კომპონენტში კრიტერიუმები სათანადოდ ჩაიშალა.

წარმომადგენლის თქმით, ასევე მუშაობდნენ ადამინური რესურსის გამდიდრების მიმართულებით რა მიზნითაც გამოცხადდა კონკურსი.

საბჭოს სხდომაზე 19:48 საათზე გამოცხადდა შესვენება. სხდომა განახლდა 20:06 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შეეძლოთ არ გაეთვალისწინებინათ ვიზიტის შემდგომ განხორციელებული ცვლილებები, მაგრამ ითვალისწინებდნენ უნივერსიტეტის რესურსს და სწორედ ამან განაპირობა საბჭოს გადაწყვეტილება.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა მიღებული გადაწყვეტილებები:

- შპს საქართველოს უნივერსიტეტის კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე -7 ; წინააღმდეგი - 0);
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე -7 ; წინააღმდეგი -0);
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებების სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 7; წინააღმდეგი -0);
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე -7 ; წინააღმდეგი -0);
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე -7 ; წინააღმდეგი -0);
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის ზუსტი, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული მეცნიერებების სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე -7 ; წინააღმდეგი -0);
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე -7 ; წინააღმდეგი -0);

ამასთან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს დაევალოს, აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

- შპს საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე -7 ; წინააღმდეგი - 0);
  ამასთან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს დაევალოს, აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე -7 ; წინააღმდეგი - 0);
  ამასთან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს დაევალოს, აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

დღის წერიგით გათვალისიწნებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, 20:10 საათზე სხდომა დასრულდა.

თავმჯდომარე
გიორგი კამკამიძე

მდივანი
ნინო დავლაშერიძე